

ენციკო ბაბიკაშვილი

სამეცნიერო შრომების ანოტირებული

ბ ი ბ ლ ი თ ბ რ ა შ ი ა

შეადგინა ხათუნა გაფრინდაშვილმა

I. ენრიკო გაბიძაშვილის სამეცნიერო შრომების შეფასება

თავიდანვე ვიტყვით, რომ ენრიკო გაბიძაშვილთან ერთად ვმუშაობთ ხელნაწერთა ინსტიტუტში თითქმის მისი დაარსების დღიდან. ჩვენ ერთად გავიარეთ ინსტიტუტის დამაარსებლის, ილია აბულაძის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური სკოლა, მისი ხელმძღვანელობით, ინსტიტუტის ახალგაზრდა კოლექტივთან ერთად, ვაკეთებდით ეროვნულ საქმეს – უძველეს ქართულ ხელნაწერებში „ჩაკარგულ“ ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების შესწავლა-გამოცემას და დაინტერესებულ მკითხველამდე მიტანას.

ძნელია, კონკრეტულად შეაფასო ე. გაბიძაშვილის თითოეული ნაშრომი, რადგან მათი რიცხვი მართლაც რომ დიდია: 27 წიგნი, რამდენიმე ათეული მონოგრაფიული ნარკვევი ტექსტების პუბლიკაციით, რამდენიმე ათეული სამეცნიერო წერილი, რამდენიმე ასეული საენციკლოპედიო სტატია ქართულ, იტალიურ, რუსულ და ინგლისურ ენციკლოპედიებში. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგადი შეფასებით შემოვიფარგლებით.

ე. გაბიძაშვილის საკვლევი სფერო არის მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული სასულიერო მწერლობის მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა დარგი, რომელშიც შედის უპირველესად ქართული ორიგინალური სასულიერო ლიტერატურის საკითხების კვლევა და მისი ძეგლების ტექსტების პუბლიკაციები, ხოლო მეორე მხრივ – ქართულ-ბიზანტიური საეკლესიო ლიტერატურათა ურთიერთობის კვლევა და ნათარგმნ

ძეგლთა გამოცემები.

ორიგინალურ თხზულებათა შესწავლა-გამოცემა ე. გაბიძაშვილმა დაიწყო თავისი პირველი ნარკვევით „ექვთიმე მთაწმიდელის სვინაქსარული ცხოვრება“, რომელიც დაბეჭდა კრებულში „ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი“, თბილისი, 1965, გვ. 7-68. ნარკვევში პირველად არის ჩამოყალიბებული დებულება: სვინაქსარული ცხოვრება ყოველთვის არ არის შესაბამისი ვრცელი თხზულების გამონაკრები, როგორც ეს იყო მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში. მან ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად დაამტკიცა, რომ ეფთვიმეს გარდაცვალებისთანავე (1028 წ.) შექმნილი ეს თხზულება გიორგი მთაწმიდელმა უცვლელად შეიტანა თავის ნათარგმნ „დიდ სვინაქსარში“ (1044 წ.) და ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გამოიყენა იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ვრცელი თხზულების წერისას.

ეს ნარკვევი გახდა ბიძგი მანამდე სრულიად შეუსწავლელი ჰაგიოგრაფიულ-ლიტურგიკული დარგის მონოგრაფიად შესწავლისათვის. 1968 წ. კი გამოვიდა „ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, IV, სვინაქსარული რედაქციები („ძეგლების“ სერია დააარსა ილია აბულაძემ). ამ წიგნში შევიდა ე. გაბიძაშვილის მიერ გამოვლენილი და კრიტიკულად დადგენილი სხვადასხვა რედაქციის ქართველი წმინდანების „წამება-ცხოვრებების“ 43 ტექსტი. თითოეულ ტექსტს წინ უძღვის გამოკვლევა.

ე. გაბიძაშვილი 1978 წ. გამოცემულ წიგნში – „რუისურბნისის კრების ძეგლისწერა“ სრულიად ახლებურად კითხულობს დავით აღმაშენებლის ეპოქისა და დავით მეფისადმი მიძღვნილი პირველი ქართული კანონიკური ძეგლის შინაარსს და ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად, პირველი წარმოაჩენს, რომ მისი

კანონების ძირითადი წყაროა „დიდი სჯულისკანონის“ არსენ იყალთოელის მიერ ბერძნული ენიდან XI ს. მიწურულს თარგმნილი ტექსტი. ნაშრომი გეთავაზობს ასევე ავტორის მიერ სარწმუნო ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად მიღებულ არაერთ სიახლეს: კრების მიერ მიღებულ დადგენილებათა ტექსტი (რომელიც ხელნაწერებში არ არის კანონებად დაყოფილი და პირველი გამომცემლები ტექსტს ისევე გამოსცემენ, როგორც ხელნაწერშია – დაუნომრავად, შემდეგ ზოგი მეცნიერი ტექსტს 15 კანონად ჰყოფს, ზოგი – 17 კანონად, ზოგიც 1-16 კანონად) ე. გაბიძაშვილმა შინაარსობრივად 19 კანონად დაყო და ამისთვის არგუმენტებიც წარმოადგინა. კრების მოწვევის თარიღად მან 1105 წელი დაადგინა, მიღებული 1103 წ. ნაცვლად და ესეც სარწმუნო არგუმენტებით გაამყარა. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი „შესხმის“ („მეფესა დავითს, მონაზონი არსენი“) ავტორად ე. გაბიძაშვილმა არსენ იყალთოელი გამოაცხადა არსენ ბერის ნაცვლად. თუმცა შენიშნა, რომ აქ ერთი და იგივე პირი იგულისხმება. ასევე „სინოდიკონის“ ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად მან სარწმუნო გახადა, რომ სინოდიკონში მოხსენიებული არსენ კალიპოსელი არის ავტორი „ძეგლისწერის“ ტექსტისა („შესხმის“ ჩათვლით), თუმცა დაამტკიცა, რომ ეს იგივე არსენ იყალთოელია, რომელიც შაჰ მთაზე (სირია) კალიპოსის ქართველთა მონასტრის მონაზონი იყო, ჩამოვიდა რუის-ურბნისის კრებაზე, ჩამოიტანა „დიდი სჯულისკანონის“ მისეული თარგმანი და კრების დადგენილებების „სინოდიკონშიც“ კალიპოსელის სახელით ჩაეწერა, თავისი მოღვაწეობის ბოლო ადგილის აღსანიშნავად - „სჯულიერისა მოღვაწისა, არსენი მონაზონისა კალიპოსელისა მრავალმცა არიან წელნი“ - თავმდაბლუ-

რად, ყველა ტიტულატურის გარეშე, რაც მთავარია, კრებაზე დამსწრე კრებით მოსახსენებლის შემდეგ – „ყოველად ღირსთა კრების ამის, ყოველთა მამათა, მღვდელმთავართა, მღვდელთა და მონაზონთა მრავალმცა არიან წყლნი“. ბოლოს, ავტორს მოცემული აქვს სინოდის კონსტიტუციის მოხსენიებული რამდენიმე გარდაცვლილი პირის იდენტიფიცირების ცდა.

ორიგინალური ჰაგიოგრაფიის შესწავლას და ტექსტების გამოცემას ეძღვნება ე. გაბიძაშვილის მიერ მ. ქავთარიასთან ერთად გამოქვეყნებული ორი წიგნი: „ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, V, „XVIII სს. ქართული ჰაგიოგრაფია“ (312 გვ.) და VI, ანტონ I-ის „მარტირიკა“ (624 გვ.), რომლებშიც დაბეჭდილია ქართველ წმინდანთა „წამებისა“ (ძირითადად) და „ცხოვრების“ ტექსტები გამოკვლევებით. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ ე. გაბიძაშვილის ვრცელი ნარკვევი „მარტირიკის“ ზოგიერთი ენობრივ-სტილისტური თავისებურება.

მრავალი ნარკვევი და სამეცნიერო წერილი მიუძღვნა ე. გაბიძაშვილმა ორიგინალური მწერლობის სხვადასხვა საკითხების კვლევას, რომელთაგან ჩამოვეთვლით მხოლოდ ზოგიერთს:

1. „რომანოზ ერისთავი და მისი უცნობი თხზულება“, ეხება რომანოზ მიტროპოლიტის მიერ შექმნილ „დავით გარეჯელის“ მეტაფრასული რედაქციის 1740-იან წლებში დაწერილ თხზულებას, რომელიც გამოავლინა ე. გაბიძაშვილმა.

2. „ეესტათი მცხეთელის მარტივილობა“ (ნარკვევი), რომელშიც ე. გაბიძაშვილმა გაარკვია მანამდე მცდარად გაგებული რამდენიმე ადგილი.

3. „ერთი მაზღეანური ტრადიციის კვალი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის რამდენიმე ძეგლში“, რომელშიც ავტორი ეჭვმიუტანლად ამტკიცებს, რომ

„ვესტატი მცხეთელის“, „აბიბოს ნეკრესელის“ და „რაჟდენის“ „წამებებში“ დაფიქსირებული ნაწამებ წმინდანთა გვამების „ძაღლთა და მფრინველთა“ საჯიჯგნად გადაყრა მიცვალებულთა დასაფლავების მაზღეანური წესია.

4. „IV-VIII სს. ქართულ ხელნაწერთა პარადოქსული ბედი“ უადრესად მნიშვნელოვან თემას ეხება და ამტკიცებს, რომ დასახელებული საუკუნეების ხელნაწერთა ჩვენამდე მოუღწევლობის ძირითადი მიზეზია ენობრივი რეფორმა – „ხ“-ანის გრამატიკული ფუნქციის დაკარგვის შედეგად (VIII ს.) „ხანმეტი“ ტექსტების საკითხავად უვარგისობის გამო მათი ხმარებიდან ამოღება და ეტრატის ხელმეორედ საწერად გამოყენება (პალიმფსესტი), აგრეთვე სხვა სამეურნეო მიზნით ხმარება.

5. „ორიგინალური მეტაფრასული ჰაგიოგრაფია და თხზულებათა რედაქციებად დაყოფის საფუძვლები“, წერილში ნათქვამია, რომ რამდენიმე მეტაფრასულ თხზულებად მიჩნეული ძეგლი, არ შეიძლება მეტაფრასული იყოს („ნინოს ცხოვრების“ ლეონტი-სეული „ცხოვრება“, „აბიბოს ნეკრესელის“ შედარებით ვრცელი რედაქცია), მათი ამ უანართან ქრონოლოგიურად შეუსაბამობისა და ტექსტში შეტანილი არასპეციფიკური ცვლილებების გამო. აქვე წარმოდგენილია ორიგინალური მეტაფრასული თხზულებები და მათი შექმნის მიზნები.

6. „ქართული ჰაგიოლოგიის ისტორიიდან“, წერილში განხილულია თვედორე მღვდლის გმირობა, რომელიც აღწერილია ქართულ ლიტერატურაში და ისტორიოგრაფიულ თხზულებებში, და ნათქვამია, რომ ზუსტად ასეთივე პატრიოტული თავდადება ლუარსაბ მეფის ბესარიონ ორბელიშვილისეულ „წამებაში“ მიეწერება სვიმონ ხუცესს. ავტორის აზრით, ეს ერთი და

იგივე პირია და იგი ცდილობს ამ ფაქტის ახსნას.

7. „სჯობს გვიან ვიდრე არასდროს“ ეხება ქართული ეკლესიის კალენდარში ადრინდელი დაშვებული შეცდომების გასწორების მცდელობას.

8. „ქართველ წმინდანთა სახსენებელი დღეების კალენდარი ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით“.

9. „ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია“. ნარკვევში დახასიათებულია კიმენური, მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციის ყველა ორიგინალური თხზულება.

10. „ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე.წ. არქტიპების ურთიერთმიმართებისათვის“. წერილში ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე სარწმუნოდ არის დამტკიცებული, რომ ასურელი მამების იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის მოკლე, კიმენური რედაქციის „ცხოვრებები“ და აბიბოს ნეკრესელის შედარებით გვიანდელი, გავრცობილი „წამება“, ერთი მთლიანი თხზულების ცალკეული თავებია, რომელსაც „იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეთა ცხოვრება“ ეწოდება და შექმნილი უნდა იყოს X ს. შუა წლებში ქართლის კათალიკოსის არსენ II-ის მიერ.

ჩვენ აქ წარმოვადგინეთ ერთი ნაწილი შრომებისა, რომელიც ეხება ე. გაბიძაშვილის მიერ დამუშავებული ორიგინალური მწერლობის თემატიკას. მოკლედ წარმოვადგინთ მის მიერ შესრულებულ სამუშაოს ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის დარგებში.

უპირველესად დავასახელებთ მისი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესრულებულ მრავალწლიან პროექტს: არსენ იყალთოელის მიერ ბერძნული ენიდან თარგმნილ ე.წ. 883 წლის რედაქციის 14-ტიტლოვან

(ნაწილიანი) ნომოკანონს, რომელმაც „დიდი სჯულის-კანონის“ სახელი დაიმკვიდრა (ხელნაწერებში მას „შეკრებაჲ კანონთა საეკლესიოთაჲ განყოფილი ათოთხმეტ ნაწილად“ ეწოდება. „დიდი სჯულის კანონი“ ძეგლის სახელწოდებად დაფიქსირებულია მისი ერთ-ერთი ხელნაწერის (ქუთ. 25) გადამწერის ანდერძში). ამ ძეგლის გამოცემა მრავალი დიდი მეცნიერის (ვ. ბენეშევიჩი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ილ. აბულაძე) ოცნება იყო, მაგრამ განხორციელდა მათი გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა ავტორ-გამომცემელთა მიერ (ე. გაბიძაშვილი, ე. გიუნაშვილი, მ. დოლაძიძე, გ. ნინუა) 1975 წელს. გამოცემის შესავალ ვრცელ მონაკვეთში, რომელიც ე. გაბიძაშვილს ეკუთვნის, მოცემულია ძეგლის ყოველმხრივი ტექსტოლოგიური ანალიზი და ბერძნული დედნის ბევრი ბუნდოვანი ადგილი არის გასწორებული. ძეგლის შემცველ ხელნაწერებში გამოვლენილია ძეგლის სამი კატეგორიის ნუსხები: 1. უძველესი, არსენის ნათარგმნი ტექსტის შემცველი ხელნაწერები (A 76 და ქუთ. 25); 2. შევსებული გვიანდელი (XIII ს.) დანამატებით (ქუთ. 17) და 3. ხელნაწერები, აღნიშნული დანამატებით ბერძნულის მიხედვით ნასწორები (XIV ს.). ძნელია აქ ვრცლად საუბარი ამ ძეგლის ორიგინალურ კანონიკურ ძეგლებზე გავლენის შესახებ, ამიტომ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ ეს დიდტანიანი წიგნი (625 გვ.) ქართული ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია და მას დიდი მოწონება ხვდა, როგორც ქართულ სამეცნიერო წრეებში, ასევე საზღვარგარეთის ქართველოლოგთა შორის, ხოლო საქართველოს ეკლესიისათვის იგი გახდა პრაქტიკული სახელმძღვანელო კანონიკური სამართლის დარგში.

ე. გაბიძაშვილმა 2004-2012 წლებში გამოსცა ბი-
ზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის
ამსახველი ექვსი წიგნი სერიით: „ძველი ქართული
მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“. ამ ფილოლოგიურ-
ბიბლიოგრაფიულ წიგნებში წარმოდგენილია სასუ-
ლიერო მწერლობის კონკრეტული დარგის თითო-
ეული ნათარგმნი თხზულების ხუთი პუნქტისაგან
შემდგარი ბიბლიოგრაფია (1. თხზულების დასა-
ხელება; 2. თხზულების სათაური ხელნაწერის მი-
ხედვით; 3. ტექსტის დასაწყისი ფრაზა; 4. თხზულებ-
ის შემცველი ყველა ხელნაწერი, დალაგებული ფონ-
დების აღმავალი ნუმერაციით, ქრონოლოგიისა და
პაგინაციის მითითებით; 5. შენიშვნა: ავტორთა,
მთარგმნელთა, თხზულების რედაქციებისა და გამოცე-
მების მითითებით). ბიბლიოგრაფიას წინ უძღვის
მწერლობის დარგის ვრცელი ნარკვევი, ხოლო
მოსდევს საძიებლები: 1. ავტორთა; 2. მთარგმნელთა
და ხელნაწერებისა და ამ დარგის სამეცნიერო
ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზიუმეები ინგლისურ
(ზოგ წიგნში - ფრანგულ) და რუსულ ენებზე. ამ
წიგნების ღირსებასა და მნიშვნელობაზე საუბარი
აღბათ ზედმეტია, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ ამ
წიგნებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს და არა
მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის
ქართველოლოგთა წრეებში. ეს ექვსტომეული ევროპის
მრავალი ქალაქის უნივერსიტეტების ბიბლიოთე-
კებშიც ინახება. საკმარისია ითქვას, რომ ამ ექვსტო-
მეულმა საქართველოს სახელმწიფო-ეროვნული პრე-
შიაც დაიმსახურა (2013 წ.).

2010-2011 წლებში ე. გაბიძაშვილმა გამოაქვეყნა
თავისი „შრომების“ სამი ტომი (I - 474 გვ.; II - 513
გვ.; III - 475 გვ.), რომლებშიც თავმოყრილია პერიოდულ
გამოცემებში ადრე დაბეჭდილი მისი ნარკვევები,

სამეცნიერო წერილები, რეცენზიები, იტალიურ, ინგლისურ და რუსულენოვან ენციკლოპედიებში დაბეჭდილი სტატიები. რამდენიმე ნარკვევი და წერილი პირველად ამ „შრომებში“ დაიბეჭდა. ამ ტომებში შეტანილია ნაშრომები როგორც ორიგინალური მწერლობის ცალკეული საკითხების შესახებ, ასევე ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებაც. ამ უკანასკნელთაგან გამოვყოფ რამდენიმეს:

1. „უცნობი ბიზანტიელი ჰაგიოგრაფი ძველ ქართულ ნათარგმნ მწერლობაში“, სადაც აღნიშნულია, რომ თეოდორე ტირონის მეტაფრასული „წამება“, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულიდან თარგმნა, არის არა სვიმეონ მეტაფრასტის თხზულება, როგორც ეფრემ მცირე გვაუწყებს, არამედ ნიკიფორე ურანოსისა (ერთი ბერძნული ხელნაწერის მიხედვით), ანუ ნიკიფორე მაგისტროსის (მეორე ხელნაწერის მიხედვით). ეს ერთი და იგივე პირია, რომელიც იყო სვიმეონ ლოლოთეტის ახლო მეგობარი.

2. ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის მხოლოდ ქართული თარგმანით შემორჩენილი თხზულება – პავლე კორინთელის (სალოსის) „ცხოვრება“, ნარკვევში აღნიშნულია, რომ მხოლოდ ერთ ბერძნულ ხელნაწერში (Cod.Paris 1452, X ს.) შემორჩენილია პავლე კორინთელის ცხოვრების მხოლოდ ათი სტრიქონი, ხოლო ამ თხზულების გამოკვლევასთან ერთად წარმოდგენილია ვრცელი ტექსტის პუბლიკაციაც, რომელიც ავსებს ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობის კიდევ ერთ ხარვეზს.

3. მაქსიმე აღმსარებლის „პასექისათვის“, ამ ნარკვევში (ტექსტი ჯერ არ არის გამოცემული) წარმოდგენილია მაქსიმეს მიერ შესრულებული აღდგომის დღის გამოსაანგარიშებელი მრავალი ხერხი სხვადასხვა წელთაღრიცხვის დღეებში და

აღდგომის დღესთან დაკავშირებული ებრაული სხვადასხვა დღესასწაულის გამოსაანგარიშებელი ურთულესი ცხრილები, მთვარისა და მზის წლების, დიდი ინდიქტიონის (532 წლიანი მოქცევის) მრავალი ტერმინის განმარტებები და ა.შ.

4. „საბინეს წამება“ – ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის დღემდე უცნობი ქართული თარგმანი, რომელიც ე. გაბიძაშვილმა გამოავლინა (ქუთ. 2, XVI ს.). ხელნაწერის აღმწერმა ერთი ბოლონაკლული და მისი მომდევნო თავნაკლული „საბინეს წამება“ ერთ თხზულებად მიიჩნია. ამ ნარკვევში გამოკვლევასთან ერთად წარმოდგენილია საბინეს „წამების“ მეტად ორიგინალური და საინტერესო ტექსტიც.

5. „ერთი უნიკალური ხელნაწერი წიგნის შესახებ“. წერილი ეხება ქუთ. I ხელნაწერის I ნაწილს (თებერვლის თვეს; მასთან მექანიკურად არის აკინძული აგვისტოს თვეც), რომელმაც შემოგვინახა მხოლოდ ამ კრებულში დაცული რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლის ტექსტები (პორფირი დახელის „ცხოვრების უაღრესად საინტერესო თხზულება; იოანე ოქროპირის მეღეტი ანტიოქელის „შესხმა“, პავლე კორინთელის „ცხოვრების“ ზემოაღნიშნული ქართული თარგმანი, და სხვ.). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კრებულის შედგენილობა: I ნაწილი „შეკოწიწებულია“ რამდენიმე ჰომილეტიკური თხზულებით, ხოლო მეორე ნაწილში – დაწყებული 17 თებერვლით 26 თხზულებას მოიცავს. ეს ორი ნაწილი მექანიკურად არის შეერთებული, უფრო სწორად, II სრულ ნაწილს შეუერთეს სახელდახელოდ შედგენილი I ნაწილი – 2, 12, 16 თებერვლის დღეების საკითხავები, რისი კვალი დღესაც კარგად ჩანს.

6. „ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი თარგმანის ირგვლივ შექმნილი გაუგებრობის გამო“. წერილში

გარკვეულია, რომ ეფთვიმე მთაწმიდელმა თარგმნა არა ათანასე მთაწმიდელის (ლავერელის – +1001 წ.) „ცხოვრება“, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში იყო დამკვიდრებული, არამედ ათანასე დიდის, ალექსანდრიელის (+373წ.) „ცხოვრება“, რომ ათანასე ათონელის „ცხოვრება“, რომლის ქართული თარგმანი დაკარგულად იყო მიჩნეული, არასოდეს არ ყოფილა ქართულად თარგმნილი.

7. „IX ს. უცნობი მთარგმნელის ერთი ინიციატივის გამო“. წერილში გამოვლენილია საინტერესო ფაქტი: იოანე ოქროპირის „ცხოვრების“ ქართულად თარგმნილ თხზულებაში, რომლის უძველესი ხელნაწერი IX ს-ით თარიღდება, სიტყვასიტყვით არის გადმოწერილი ხელნაწერის გვერდნახევარი ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების“ ქართული თარგმანიდან, რომელიც 982 წლის სინურ ხელნაწერშია (Sin. 6) შეტანილი. ამ ორი ხელნაწერის საერთო ტექსტი შეიცავს ეპიფანეს აუდიენციას ბიზანტიის დედოფალ ევდუქსიასთან და დიალოგს იოანე ოქროპირის პატრიარქობიდან გადაყენების თაობაზე. როგორც ჩანს, იოანე ოქროპირის „ცხოვრების“ ქართულმა მთარგმნელმა გადმოიწერა უკვე თარგმნილი ეპიფანეს „ცხოვრების“ ტექსტიდან, რადგან აღნიშნული ეპიზოდი უფრო ვრცლად და საინტერესოდ იყო აღწერილი თვითმხილველი ავტორის მიერ „ეპიფანეს ცხოვრებაში“.

8. „დიდი სჯულისკანონის“ ხელნაწერები და თხზულების თარგმნის დრო“. წერილში შედარებით დაკონკრეტებული ე. გაბიძაშვილის ადრინდელი ვარაუდი, რომ A 124 არის ამ ძეგლის შემცველი უძველესი ხელნაწერი, ვარაუდით XI ს. მიწურულისა ან XII ს. პირველი წლებისა. ე. ჭელიძის მიერ ამ ხელნაწერში (მის დამატებით და არა ძირითად ნაწილში) მიკ-

ვლელმა მინაწერმა, რომელშიც იხსენიება ეგნატე მოძღვარი და მისი მოწაფე მოსე ხანცთელი. ამ პირების ერთობლივი მოხსენიებით ადრინდელი ხელნაწერების ანდერძებში ე. გაბიძაშვილმა A 124 ხელნაწერის გადაწერის თარიღი XI ს. 80-იანი წლებით განსაზღვრა.

ბოლოს შეგვხვებით ე. გაბიძაშვილის სხვადასხვა-ენოვან ენციკლოპედიებში გამოქვეყნებულ სტატიებს, რომელთა რიცხვი ერთად აღებული 2000 აჭარბებს.

1. 1991-1994 წლებში ქ. რომში გამომავალ იტალიურენოვან „Enciclopedia dei Santi“ - ის I და II ტომებში დაიბეჭდა ე. გაბიძაშვილის 74 მოკლე სტატია, საქართველოს საეკლესიო კალენდარში შეტანილ ქართველ წმინდანთა შესახებ (იხ. მისი ნაშრომების III ტომში გადმობეჭდილი).

2. ქ. მოსკოვში გამომავალ „Православная Энциклопедия“-ის 2-25 ტომებში (2001-2014 წწ.) დაიბეჭდა ე. გაბიძაშვილის 55-მდე სტატია, ქართული ეკლესიისა და სასულიერო მწვერლობის სხვადასხვა საკითხებზე, რისთვისაც მან ამ ენციკლოპედიის მთავარი დირექტორის, სრულიად რუსეთის პატრიარქის – კირილე II-ის სამადლობელი „Патриаршая Грамота“ დაიმსახურა (2010 წ. 49, 4 მარტი).

3. 2011 წელს ინგლისურენოვან ენციკლოპედიაში „Christian-Muslim Relation“ (CMR), დაიბეჭდა ე. გაბიძაშვილის სტატია „Arsen of Ikalto“ (იხ. მისი შრომები, III, გვ. 468-470).

ეს სტატიები ქართული კულტურისა და სასულიერო მწვერლობის ძეგლების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის კარგი მაგალითია.

ე. გაბიძაშვილმა საენციკლოპედიო საქმიანობაში საქართველოში განახორციელა მრავალწლიანი პროექტი: „საქართველოს მართლმადიდებელი

ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელიც ავტორთა ჯგუფთან ერთად მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დასრულდა 2007 წელს – დაიბეჭდა დიდი ფორმატის (A 4) სქელტანიანი (1016 გვ.) წიგნი, რომელშიც შევიდა 5000-მდე მცირე და საშუალო ზომის სტატია (რომელთაგან 2000-მდე სტატიის ავტორია ე. გაბიძაშვილი), რომლებიც ეხება ქრისტიანულ ეკლესიასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საკითხს: სასულიერო მწერლობა, დამწერლობის საკითხები, ღვთისმსახურება, სასულიერო პერსონალია, საეკლესიო ჭურჭელი და ტანსაცმელი, ეკლესია-მონასტრები, საეკლესიო კანონმდებლობა, პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის ცალკეული პრობლემები, შედარებით მოკლედ სხვა აღმსარებლობის რელიგიები, კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები, მწვალებლური სექტები და ა.შ. წიგნში ჩართულია საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მონასტრებისა და უძველეს ხელნაწერთა 64 ფერადი ფოტო. ეს წიგნი პოპულარულია როგორც საეკლესიო წრეებში, ისე სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით მოსახლეობის ფართო ფენებში.

ე. გაბიძაშვილის მონაწილეობა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტში – „ენციკლოპედია ქართული ხელნაწერი“ (ონლაინი), აღინიშნა ინტერნეტში ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე შეტანილი 600-მდე სტატიით.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ენრიკო გაბიძაშვილმა, მიუხედავად ასაკოვნებისა, შეინარჩუნა შრომისუნარიანობა და ინტერესი, რისი მაგალითიც არის ის ფაქტი, რომ მან 80 წლის ასაკიდან, ე.ი. 2011 წლიდან დღემდე, როდესაც მას 87 წელი შეუსრულდა, 7 დიდტანიანი სამეცნიერო წიგნი გამოაქვეყნა. მან

ამ დღეებში გადასცა დასაბუჭდად წიგნი, რომელიც ამ წლის ბოლოს გამოქვეყნდება: „ძველი ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერთა კლასიფიკაცია და ბიბლიოგრაფია“ (800 გვ.), 2018 წ. დეკემბერი. ეს საფუძველს გვაძლევს, რომ ის ამითაც არ დაკმაყოფილდება და ჩვეული ენერგიით გააგრძელებს რომელიმე სამეცნიერო წიგნზე მუშაობას.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი **ზაზა ალექსიძე**



ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მაია რაფავა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მისხილ ქავთარია**

**II. წიგნად გამოცემული
ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნაშრომები**

1965

1. ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965, გვ. 7-68.

წიგნში მოთავსებულია ოთხი ავტორის თითო ნარკვევი: ენრიკო გაბიძაშვილის, გ. კიკნაძის, თ. ჭყონიას, ილ. აბულაძისა. ე. გაბიძაშვილს ეკუთვნის ეფთვიმე მთაწმიდელის სვინაქსარული ცხოვრება, ტექსტი და გამოკვლევა (გვ. 7-68). ნაშრომის ვრცელი ანოტაცია იხ. რუბრიკაში „მონოგრაფიული ნარკვევები“.

1968

2. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტურატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, რედაქტორი ილია აბულაძე, თბილისი, 1968 (445 გვ.).

წიგნში პირველად არის თავმოყრილი, შესწავლილი და გამოქვეყნებული საქართველოს ეკლესიის ყველა ქართველი წმინდანის სვინაქსარული – წმინდანის სხენების დღეს ლიტურგიაზე საკითხავი წამება-ცხოვრებანი (43 სხვადასხვა რედაქციის ტექსტი – გვ. 329-342). კრიტიკულად დადგენილ ტექსტებს წინ უძღვის ვრცელი ნარკვევი (გვ. 5-328), თითოეული ტექსტის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური კვლევის

შედგები. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს იმ წმინდანთა სვინაქსარული წამება-ცხოვრებები, რომელთა შესახებ ვრცელი ჰაგიოგრაფიული თხზულებები არ დაწერილა და მხოლოდ სვინაქსარული ტექსტებით არიან ცნობილი (მაგ.: იერუსალიმელი მოღვაწეების – პროხორე ქართველის (XI ს.) სვინაქსარული „ცხოვრება“, ლუკა იერუსალიმელის (XIII ს.) „წამება“, ნიკოლოზ დვალის (XIV ს.) „წამება“ და სხვ.). ცალკე გამოიყოფა ის თხზულებები, რომლებიც შესაბამის ვრცელ „ცხოვრებაზე“ ადრე არის დაწერილი და გამოყენებულია მის წყაროდ (მაგ.: ეფთვიმე მთაწმიდელის სვინაქსარული „ცხოვრება“ და სხვ.). ცალკეა ისეთი თხზულებები, რომლებიც ვრცელი „ცხოვრება-წამებებიდან“ არის გამოკრებილი (ასეთია ძირითადად გვიანდელი XVII-XVIII სს. თხზულებები).

1971

3. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს. (ტექსტები). დასაბუჯდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, რედაქტორი ილ. აბულაძე, თბილისი, 1971 (312 გვ.).

წიგნში შესულია ე. გაბიაშვილის მიერ მიკვლეული და გამოსაცემად მომზადებული ტექსტი: რომანოზ მიტროპოლიტის (ერისთავის – XVIII ს.) მიერ დაწერილი „დავით გარეჯელის ცხოვრება“, რომელიც მას შეუქმნია ძველი მეტაფრასული თხზულების გამოყენებით (გამოკვლევა – იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალთავი II, 1973, გვ. 75-93).

1975

4. „დიდი სჯულისკანონი“. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, პროექტის ხელმძღვანელი და რედაქტორი ე. გაბიაშვილი, თბილისი, 1975 (628 გვ.).

ქრისტიანული საეკლესიო კანონმდებლობის ძირითადი კოდექსის არსენ იყალთოელისეული ქართული თარგმანის პუბლიკაცია განხორციელდა პირველად. კრიტიკულად დადგენილი ტექსტი (გვ. 100-542) ეფუძნება რვა XI-XV სს. ხელნაწერის მონაცემებს. ტექსტს უძღვის ე. გაბიაშვილის წინასიტყვაობა (გვ. 3-4) და ვრცელი ნარკვევი (გვ. 5-91), რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 92-99), ხოლო მოსდევს გ. ნინუას მიერ შედგენილი არქაულ სიტყვათა ლექსიკონი (გვ. 560-583), მ. დოლაქიძის მიერ შედგენილი იურიდიული ტერმინები (გვ. 584-606) და იურიდიულ ტერმინთა ლათინურ-ქართული და ბერძნულ-ქართული შესატყვისობანი (გვ. 606-609); ე. გიუნაშვილის მიერ შედგენილი საძიებლები: პირთა (გვ. 610-619), გეოგრაფიულ, ეთნიკურ და წარმომავლობის სახელთა (619-624), ერესებისა და ერეტიკოსთა (გვ. 624-625); წიგნის დამატებაში ქვეყნდება „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის“ ტექსტიც. ე. გაბიაშვილის ნარკვევის ანოტაცია იხ. მონოგრაფიულ ნარკვევებში: „14-ტიტლოვანი ნომოკანონის ქართული თარგმანი – „დიდი სჯულისკანონი“.

1978

5. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, რედაქტორი მ. დოლაქიძე, თბილისი, 1978 (200 გვ.).

ნაშრომი უმნიშვნელოვანესი ქართული ნორმატიული ძეგლის გამოცემასა და კვლევას წარმო-

ადგენს. წიგნში წარმოდგენილია თავები: „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის მიზეზები და მიზნები“; „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის თარიღისათვის“; „კრების ორგანიზაციული მხარე“; „რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის და თხზულების წყაროები“ (გვ. 29-72); „ძეგლისწერის შედგენილობა და მასთან დაკავშირებული საკითხები“ (გვ.73-170). წიგნს ერთვის რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 172-175) და „ძეგლისწერის“ კრიტიკული ტექსტი დადგენილი ექვსი XII-XIII სს. ხელნაწერის საფუძველზე (გვ. 176-196).

ამ ძეგლის შესწავლისას გამოვლენილია სიახლეები: „ძეგლისწერის“ კანონთა ტექსტები (ხელნაწერებში დაუნომრავია) ახლებურად არის დაყოფილი 19 კანონად და ნაჩვენებია ასეთი დაყოფის კანონზომიერება; თითოეულ კანონს ახლავს კომენტარები მათი შინაარსისა და წყაროების ჩვენებით (დაფიქსირებულია ზოგიერთი კანონის გაგებაში სამეცნიერო ლიტერატურაში დაშვებული უზუსტობანი). კრების ისტორიულ-სოციალური გარემოს დახასიათებასთან ერთად შეცვლილია კრების მოწვევის ადრე დამკვიდრებული (1103წ.) თარიღი და წყაროების ანალიზის მიხედვით დადგენილია 1105 წელი; დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ „შესხმის ავტორად აღიარებულია არსენ იყალთოელი და არა არსენ ბერი, რომელიც იყო ავტორად მიჩნეული ადრინდელ მკვლევართა მიერ. ე. გაბიძაშვილის აზრით, რომელიც ეფუძნება წყაროებში მოხსენიებულ „არსენ მონაზონის“ სახელთა ანალიზს, არსენ იყალთოელი და დავითის ანდერძებში მოხსენიებული „არსენ ბერი“ ერთი და იგივე პიროვნებაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ კვლევათა საწინააღმდეგოდ „ძეგლისწერის“ სინოდის კონში

დასახელებული „სჯულიერისა მოღვაწისა არსენიც მონაზონისა კალიპოსელისა მრავალმცა არიან წელნი“ – არის „ძეგლისწერის“ ავტორი, იგივე არსენ იყალთოელი (რომელიც შავ მთაზე, კალიპოსის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობდა).

ნაშრომში მოცემულია სინოდის კონსტიტუციის ცდა.

1980

6. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, ანტონ I-ის მარტირია, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, რედაქტორი მ. შანიძე, თბილისი, 1980 (644 გვ.).

წიგნში წარმოდგენილია კათოლიკოს ანტონ I-ის „წიგნი მარტირია, შესხმა და ისტორია ქრისტესთვის ვნებულთა მოწამეთა ქართუელთა და სხუათა“. ნაშრომში შესულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა ოცი „შესხმა-წამების“ კრიტიკულად დადგენილი ვრცელი ტექსტი (გვ. 12-418), რომელსაც უძღვის ე. გაბიძაშვილის მიერ შედგენილი „ტექსტისათვის“ (გვ. 1-6), ხოლო მოსდევს მისივე ნარკვევები: „უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების საფუძველზე შექმნილი თხზულებანი“ (გვ. 489-498), „ანტონის ახალი ჰაგიოგრაფიული თხზულებები „მარტირიკის“ შემადგენლობაში“ (გვ. 498-910); „ანტონის ჰაგიოგრაფიული თხზულებანი სომეხ მოწამეთა შესახებ“ (გვ. 510-524); „მარტირიკის ზოგიერთი ენობრივ-სტილისტური თავისებურება“ (გვ. 525-586) და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი (გვ. 587-629; დანარჩენი ნაწილები ეკუთვნის მ. ქავთარიას).

1989

7. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი V, XVIII ს. ჰაგიოგრაფია, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, რედაქტორი მ. შანიძე, თბილისი, 1989 (გვ. 300).

წიგნში დაბეჭდილია XVIII ს. სხვადასხვა ავტორის რვა ჰაგიოგრაფიული თხზულების კრიტიკულად დადგენილი ტექსტები ამავე დროის ხელნაწერების მიხედვით (გვ. 7-136), ე. გაბიძაშვილს ეკუთვნის დანართში წარმოდგენილი „ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების ბიბლიოგრაფია“ (გვ. 202-272), აგრეთვე არქაულ სიტყვათა ლექსიკონი (გვ. 277-291) და გამოყენებულ ხელნაწერთა ბიბლიოგრაფია. ე. გაბიძაშვილის გამოკვლევა, რომელიც უნდა შესულიყო ამ წიგნში და ვერ დაიბეჭდა ტექნიკური მიზეზების გამო, იხ. მონოგრაფიულ ნარკვევებში „ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობის ზოგიერთი საკითხი“ (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის „მრავალთავი“, XVII, თბილისი, 1992, გვ. 3-37).

1991

8. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში (გამოკვლევა და ტექსტები), რედაქტორი მ. რაფავა, თბილისი 1991 (400 გვ.).

წიგნში თავმოყრილია წმინდა გიორგის შესახებ დაწერილი სასულიერო მწერლობის ყველა უანრის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულება. გამოცემულ ტექსტებს (გვ. 42-375) წინ უძღვის შესავალი ქართულ

მწერლობაში წმინდა გიორგის კულტის შესახებ საინტერესო მიმოხილვით (გვ. 3-41), ხოლო ერთვის არქაულ სიტყვათა ლექსიკონი (გვ. 376-382) და კომენტარები (გვ. 383-396).

2004

9. ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია (ნარკვევი და თხზულებათა ბიბლიოგრაფია), რედაქტორები ქ. ასათიანი, ე. ბერუაშვილი, თბილისი, 2004 (425 გვ.).

წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ წინამდებარე გამოცემა არის პირველი წიგნი ე. გაბიძაშვილის მიერ დაარსებული სერიისა „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“. ამ წიგნის წინასიტყვაობაში წარმოდგენილია დასახელებული წიგნებისათვის საერთო სტრუქტურის ჩამოყალიბება (გვ. 5-8). წიგნის შესავალში (გვ. 9-12) კი მოცემულია კონკრეტულად ამ სერიის I წიგნის სტრუქტურა, რაც განხორციელებულია წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში და სახელმძღვანელო გახდება მომდევნო წიგნებისათვის.

ვრცელ ნარკვევში (გვ. 13-115) წარმოდგენილია ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის საკითხების ფართო სპექტრი, რომლის კომენტარი იხ. რუბრიკაში „მონოგრაფიული ნარკვევები“ – „ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია“. ნაშრომის უდიდესი ნაწილი ეთმობა ნათარგმნი თითოეული თხზულების ხუთპუნქტიან ბიბლიოგრაფიას (გვ. 116-361). წარმოდგენილია 1152 ასეთი პარაგრაფი, რომლებშიც მითითებულია: თხზულების დასახელება, ხელნაწერისეული სათაური, ტექსტის დასაწყისი, თხზულების შემცველი ყველა ხელნაწერი (ფონდის, თარიღის, პაგინაციის ჩვენებით), თხზულების რედაქცია, ავტორი, მთარგმნელი და ა.შ. ბოლოს

მოთავსებულია საძიებლები: ავტორთა, მთარგმნელთა, ხელნაწერთა (გვ. 362-379), სამეცნიერო ლიტერატურა ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის შესახებ (გვ. 380-420), რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე.

2005

10. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I (ა-ლ), რედაქტორები: ნ. გოგუაძე, ზ. სარჯველაძე, მ. შანიძე, თბილისი, 2005 (466 გვ.)

ე. გაბიძაშვილი მონაწილეობდა სიმფონია-ლექსიკონის მასალების მოძიება-დამუშავებაში ხელნაწერთა ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად.

2006

11. ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა (ნარკვევი და თხზულებათა ბიბლიოგრაფია), რედაქტორი დ. ჩიტუნაშვილი, თბილისი 2006 (392 გვ.)

წიგნის შედგენილობა ასეთია: შესავალში წარმოდგენილია ბიბლიოგრაფიის შედგენის პრინციპები (გვ. 9-14), ნარკვევი ეძღვნება ასკეტიკური მწერლობის ძირითად საკითხებს (გვ. 15-82), რომელთა ანოტაცია იხ. რუბრიკაში „მონოგრაფიული ნარკვევები“ – „ასკეტიკა და მისტიკა (ნარკვევი)“. ასკეტიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფიის (გვ. 83-355) ყველა 1129 პარაგრაფი შედგენილია ჰაგიოგრაფიის ბიბლიოგრაფიის პრინციპით. ასევე ერთვის საძიებლები (ავტორთა, მთარგმნელთა, ასკეტიკურ თხზულებათა მთხრობელთა და მთხრობის ობიექტთა, ხელნაწერთა (გვ. 356-373), სამეცნიერო ლიტერატურა (გვ. 374-383), რეზიუმეები ფრანგულ და რუსულ ენებზე (გვ. 384-385) და წინა

წიგნში შემჩნეული შეცდომების გასწორება (გვ. 386-389).

2007

12. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, რედაქტორები: ე. გაბიძაშვილი და ექ. კოჭლამაზაშვილი. თბილისი, 2007 (1114 გვ., 64 ილუსტრაციით).

წიგნში შესული 5000 მცირე და საშუალო სტატი-დან ე. გაბიძაშვილს ეკუთვნის 2000-მდე.

13. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, II (მ-რ), რედაქტორები: ნ. გოგუაძე, ზ. სარჯველაძე, მ. შანიძე, თბილისი, 2007 (420 გვ.).

ე. გაბიძაშვილი მონაწილეობდა სიმფონია-ლექსიკონის მასალების მოძიება-დამუშავებაში ხელნაწერთა ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად.

2008

14. მწიგნობრობა ქართული, 4, რედაქტორი ა. ბრეგაძე, თბილისი, 2008 (544გვ.)

წიგნში გადმობეჭდილია „ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების VI წიგნიდან“ ანტონ I-ის „მარტირიკის“ ე. გაბიძაშვილისა და მ. ქავთარიას მიერ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი (გვ. 6-476), მ. ქავთარიას „ანტონ კათალიკოსი და მისი „მარტირიკა““ (გვ. 477-499), მის მიერვე

შედგენილი საძიებლები (გვ. 522-540) და ე. გაბიძა-
შვილის მიერ შედგენილი ვრცელი ლექსიკონი (გვ.
500-521).

2009

**15. ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგ-
ზეგეტიკა, აპოკრიფები (გამოკვლევები და
თხზულებათა ბიბლიოგრაფიები), რედაქტორები:
ნ. მელიქიშვილი და ც. ქურციკიძე, თბილისი,
2009 (487 გვ.).**

წიგნში წარმოდგენილია სასულიერო მწერლობის
სამი დარგი. თითოეული მათგანი შეიცავს: შესავალს,
ნარკვევებს შესაბამისი დარგის მწერლობის მიმო-
ხილვით. ანოტაცია შესულია რუბრიკაში: „მონოგრა-
ფიული ნარკვევები“ – „ნათარგმნი ბიბლიოლოგიური
ძეგლების მიმოხილვა, ნათარგმნი ეგზეგეტიკა, ნათარგ-
მნი აპოკრიფები“.

წიგნი, გარდა ზემოხსენებული ნარკვევებისა,
შეიცავს ბიბლიოლოგიურ თხზულებათა (გვ. 75-147),
ეგზეგეტიკურ თხზულებათა (გვ. 249-326) და აპოკრი-
ფულ თხზულებათა (გვ. 391-452) ბიბლიოგრაფიებს,
თითოეულ მათგანს ერთვის შესაბამისი დარგის სა-
მეცნიერო ლიტერატურა, საძიებლები და რეზიუმეები
ინგლისურ და რუსულ ენებზე და წინა, მესამე წიგნში
შემჩნეული შეცდომების გასწორება და დამატებები
(გვ. 483-486).

**16. ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა
(ნარკვევი და თხზულებათა ბიბლიოგრაფია),
რედაქტორი ე. ჭელიძე, თბილისი, 2009 (580 გვ.).**

წიგნის შესავალში ტრადიციულად წარმოდ-
გენილია ბიბლიოგრაფიის შედგენის პრინციპები (გვ.
7-13), ნარკვევი ეხება ჰომილეტიკური ანუ ქადაგებათა

მწერლობის სხვადასხვა საკითხს (გვ. 14-60), რომელთა შესახებ საუბარი არის რუბრიკაში „მონოგრაფიული ნარკვევები“ – „ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა (ნარკვევი)“. წიგნში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ჰომილეტიკური თხზულებების ბიბლიოგრაფიას (გვ. 61-504), რომლის 1878 პარაგრაფიდან თითოეული წარმოდგენილია ხუთპუნქტიანი სეგმენტით, რომელთა შინაარსი წინა წიგნებში წარმოდგენილი პარაგრაფების იდენტურია. ბიბლიოგრაფიას ერთვის საძიებლები (ჰომილიათა ავტორებისა, მთარგმნელებისა და ხელნაწერებისა, გვ. 505-548), სამეცნიერო ლიტერატურა (გვ. 549-575), რეზიუმეები: ინგლისურ და რუსულ ენებზე.

2010

17. შრომები, I ტომი, რედაქტორები: ე. ბერუაშვილი, ხ. გაფრინდაშვილი, თბილისი, 2010 (475 გვ.).

წიგნში შეტანილია ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური შინაარსის ცხრა მონოგრაფიული ნარკვევი, რომლებიც ადრეც იყო დაბეჭდილი ე. გაბიძაშვილის წიგნების შესავალ ნარკვევებად და პერიოდულ გამოცემებში, ხოლო 3 ნარკვევი იბეჭდება პირველად. თითოეული ნარკვევის ანოტაცია წარმოდგენილი იქნება რუბრიკაში: „მონოგრაფიული ნარკვევები“.

18. შრომები, II ტომი, რედაქტორები: ე. ბერუაშვილი, ხ. გაფრინდაშვილი, თბილისი, 2010 (515 გვ.).

წიგნში შესულია 13 ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მონოგრაფიული ნარკვევი, რომელთაგან 9 დაბეჭდილია ტექსტოლოგიური პუბლიკაციებისა და ბიბლიოგრაფიული წიგნების შესავალი ნარკვევების

სახით, ხოლო ოთხი მათგანი იბეჭდება პირველად. ამ ნარკვევების ვრცელი ანოტაციები იხილეთ რუბრიკაში: მონოგრაფიული ნარკვევები.

2011

19. შრომები, III ტომი, რედაქტორები: ე. ბერუაშვილი, ხ. გაფრინდაშვილი, თბილისი, 2011 (476 გვ.).

წიგნში შეტანილია ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები (11), სამეცნიერო წერილები (17), რეცენზიები (11), საენციკლოპედიო სტატიები „Провославная энциклопедия“, Москва, т. 2-25 (55 სტატია ძველი ქართული მწერლობის ავტორთა და თხზულებათა საკითხებზე), საენციკლოპედიო სტატიები (74) იტალიურ „Enciclopedia dei Santi (L'echaiseor iet al i)“, Gt ana va, Ro na, I – 1991; II – 1992. საქართველოს საეკლესიო კალენდარში შეტანილი ქართველ წმინდანთა შესახებ; სტატია „არსენ იყალთოელი“ ინგლისურ ენციკლოპედიაში „Cr istianMusl inRel ations (CMR)“, AB ib iog apica History, Vol ura3B ril l ,L eiden, 2011,(378-381). თითოეული მათგანის ანოტაცია შეტანილია რუბრიკებში: მონოგრაფიული ნარკვევები, სამეცნიერო წერილები და საენციკლოპედიო სტატიები.

20. ქართული ნათარგმნი ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, რედაქტორები: ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია, თბილისი, 2011 (520 გვ.).

წიგნში დამოუკიდებელ ერთეულებად შეტანილია I ნაწილი – ლიტურგიკა, II ნაწილი – ჰიმნოგრაფია. თითოეული მათგანის შედგენილობა ანალოგიურია: ლიტურგიკა: 1) შესავალი ბიბლიოგრაფიის შედგენის პრინციპების შესახებ (გვ. 7-11); 2) ნარკვევი ლიტურგიკული მწერლობის ძირითადი საკითხების შესახებ

(გვ. 12-90), რომლის ანოტაცია წარმოდგენილი იქნება რუბრიკაში: მონოგრაფიული ნარკვევები; 3) ლიტურგიკულ თხზულებათა ბიბლიოგრაფია, რომელიც თითოეული თხზულების ხუთპუნქტიანი ბიბლიოგრაფიის 414 პარაგრაფს მოიცავს (გვ. 91-212). ბიბლიოგრაფიას ერთვის საძიებლები (ავტორთა, მთარგმნელთა და ხელნაწერთა; გვ. 213-229), სამეცნიერო ლიტერატურა (გვ. 230-239). მეორე ნაწილი – ჰიმნოგრაფია: შესავალი (გვ. 242-244), ნარკვევი (გვ. 245-273), რომლის ანოტაცია წარმოდგენილია რუბრიკაში: მონოგრაფიული ნარკვევები, თხზულებათა ბიბლიოგრაფია (გვ. 274-499), საძიებლები (გვ. 500-509), სამეცნიერო ლიტერატურა (გვ. 510-518), ორივე ნაწილის რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე (გვ. 519-520).

2012

21. ქართლის ცხოვრება, ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს სამეფოს აღწერა, ნაწილი პირველი. ტექსტები ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოიტანეს და კომენტარები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ, რედაქტორი ნ. ჯალაბიძე, თბილისი, 2012 (303 გვ.).

ქართლის ცხოვრების თხზულებათა ახალქართულად გადმოღებული 5 წიგნი (წინამდებარე წიგნი მეოთხეა). პუბლიკაცია მომზადებულია საეკლესიო გამომცემლობა „ახალ ივერონში“.

22. ქართული ნათარგმნი კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა, რედაქტორი მ. რაფაეა, თბილისი, 2012 (334 გვ.).

წიგნი შედგება ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებ-

ბელი ნაწილისაგან: 1. კანონიკა, ანუ საეკლესიო სამართალი და 2. დოგმატიკა-პოლემიკა. კანონიკა წარმოდგენილია შემდეგი ნაწილებით: შესავალი (გვ. 9-11), ნარკვევი (გვ. 12-79, რომლის ანოტაცია წარმოდგენილია რუბრიკაში: მონოგრაფიული ნარკვევები), ბიბლიოგრაფია (გვ. 80-137, 235 პარაგრაფი), საძიებლები (გვ. 138-141), სამეცნიერო ლიტერატურა (გვ. 142-148). მეორე ნაწილი: დოგმატიკა-პოლემიკა წარმოდგენილია ანალოგიური ნაწილებით: შესავალი (გვ. 153-155), ნარკვევი (გვ. 156-185; ანოტაცია იხ. რუბრიკაში: მონოგრაფიული ნარკვევები), ბიბლიოგრაფია (გვ. 187-299, 461 პარაგრაფი), საძიებლები (გვ. 301-307), სამეცნიერო ლიტერატურა (გვ. 308-330). ორივე ნაწილის რეზიუმე ერთად ინგლისურ და რუსულ ენებზე (გვ. 331-332).

2014

23. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, III(ს-ყ), რედაქტორები: ნ. გოგუაძე, ზ. სარჯველაძე, მ. შანიძე, თბილისი, 2014 (394 გვ.)

ე. გაბიძაშვილი მონაწილეობდა სიმფონია-ლექსიკონის მასალების მოძიება-დამუშავებაში ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად.

2015

24. ნარკვევები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, წიგნი II, 1. ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, 2. ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, 3. მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის საკითხები, რედაქტორი ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), თბილისი, 2015 (450 გვ.).

წიგნში შესულია ე. გაბიძაშვილის სამი ნარკვევი, რომელთა ანოტაციები მოცემულია რუბრიკაში: მონოგრაფიული ნარკვევები.

25. ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2015 (500 გვ.).

წიგნში დამოუკიდებელ ნაკვეთებად შეტანილია ორიგინალური სასულიერო მწერლობის ყველა დარგი, თითოეულის ვრცელი მიმოხილვით (ნარკვევით) და დარგის თითოეული თხზულების ექვსპუნქტიანი ბიბლიოგრაფიით, რომლის შესაბამის პუნქტში მითითებულია: 1. თხზულების დასახელება; 2. თხზულების ხელნაწერისეული სახელწოდება; 3. თხზულების ავტორი; 4. თხზულების ტექსტის დასაწყისი ფრაზა; 5. თხზულების შემცველი ყველა ხელნაწერი; 6. შენიშვნა, სადაც ჩაწერილია: თხზულების რედაქციები, გამოცემები და სხვა კონკრეტული შენიშვნები.

თითოეულ ნაკვეთში თხზულებათა ბიბლიოგრაფიებს დაერთვის საძიებლები ავტორებისა და ხელნაწერებისა, აგრეთვე, დარგის შესაბამისი სამეცნიერო შრომების სია. წიგნს წინ უძღვის საერთო წინასიტყვაობა, ხოლო ბოლოს ერთვის ასევე საერთო რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე.

2016

26. ნარკვევები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, წიგნი III, 1. ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა, 2. ქართული ორიგინალური და ნათარგმნი კანონიკური მწერლობა, რედაქტორი ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), თბილისი, 2016 (500 გვ.).

ამ წიგნში ე. გაბიძაშვილის ორი ვრცელი ნარკვე-
ვია შეტანილი, რომელთა ანოტაცია შესულია რუ-
ბრიკაში: მონოგრაფიული ნარკვევები.

**27. თებერვლის თვის ჰაგიოგრაფიულ-ჰომი-
ლექტიკურ საკითხავთა უნიკალური კრებული
(ქუთ. 1-ის I ნახ., XVI ს.), გამოკვლევა, ტექსტები,
ლექსიკონი და საძიებლები, რედაქტორები: ე.
ბერუაშვილი, ხ. გაფრინდაშვილი, ც. გულედანი,
თბილისი, 2016, (606 გვ.).**

ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთ-
ნოგრაფიულ მუზეუმში დაცული XVI საუკუნის ხე-
ლნაწერი – ქუთ. 1. კრებული ორი დამოუკიდებელი
ნაწილისაგან შედგება, რომელიც მექანიკურად
გაუერთიანებიათ XVI ს. ბოლოს ან XVII ს.
დასაწყისში. პირველი ნაწილი თებერვლის თვის,
მეორე ნაწილი კი აგვისტოს თვის საკითხავებს
შეიცავს. წინამდებარე ნაშრომი ხელნაწერის პირველი
ნაწილის, თებერვლის თვის საკითხავთა კვლევას წარ-
მოადგენს. ქუთ. 1 19 ჰაგიოგრაფიულ და 7 ჰომილე-
ტიკურ თხზულებას შეიცავს. ნაშრომში საუბარია ამ
კრებულის ჩამოყალიბების ისტორიასა და მასში შეტ-
ანილი ტექსტების უანრობრივ მრავალფეროვნებაზე;
მოცემულია თხზულებათა ტექსტოლოგიური და ში-
ნაარსობრივი ანალიზი; ახსნილია ის ფაქტები, რამაც
კრებულის უნიკალურობა და მისი გამოცემის
აუცილებლობა განაპირობა. მონოგრაფიის ავტორი
ესება ქუთ. 1 კრებულში შემავალ თხზულებათა
ავტორის საკითხს და არ ეთანხმება სამეცნიერო
ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის
თანახმად, ამ თხზულებათა ავტორად იოანე
ქსიფილინოსია მიჩნეული. გამოკვლევას მოსდევს

კრიტიკულად დადგენილი ტექსტები ვარიანტული წაკითხვებით, ახლავს არქაულ სიტყვათა ლექსიკონი, პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა და მწვალებელთა საძიებელი.

2018

28. ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების კლასიფიკაცია და ბიბლიოგრაფია, მთავარი რედაქტორი: ზ. აბაშიძე; რედაქტორები: ნ. მელიქიშვილი, თ. ჯოჯუა, თბილისი, 2018, 800 გვ. (გადაცემულია დასაბეჭდად).

ნაშრომი ეძღვნება ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების კლასიფიკაციას და ბიბლიოგრაფიას. გამოკვლევა ეყრდნობა ძველი ქართული ხელნაწერების ყველა ფონდის, როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთ არსებულ სიძველეთსაცავებში დაცულ ხელნაწერთა ფონდების ბეჭდურ გამოცემებს. მასში ცალკე თავებად არის წარმოდგენილი ხელნაწერ წიგნთან დაკავშირებული პირების საქმიანობა: ხელნაწერის ძირითადი ტექსტის მთარგმნელთა, გადამწერთა, მომგებელ-შემწირველთა, „შემკამხველ-განმაცხოველებელთა“ და ორიგინალურ თხზულებების ავტორთა ანდერძებისა და მინაწერების ანალიზი. ბიბლიოგრაფიაში მოცემულია თითოეული ფონდის იმ ხელნაწერთა ბიბლიოგრაფია, რომლებიც შეიცავენ ანდერძებსა და მინაწერებს. ბიბლიოგრაფიის თითოეული სეგმენტი იწყება სათაურით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელნაწერის ფონდის დასახელებას და ნუმერაციას (მაგ.: Ath 30); ბიბლიოგრაფია შედგება ხუთი პუნქტისაგან: 1. ავტორი, რომელშიც იგულისხმება მთარგმნელის ან გადამწერის და ა.შ. ანდერძის ავტორობა;

2. ანდერძის ან მინაწერის დასაწყისი ტექსტი კონკრეტული ანდერძების ტექსტის ერთმანეთისაგან გასამიჯნად; 3. ხელნაწერი, რომელშიც მითითებულია ძირითადი ტექსტის ხელნაწერის ფონდი, თარიღი, პაგინაცია (ანდერძ-მინაწერებისა); (დამწერლობის რასახეობით არის ნაწერი: ნუსხური, მხედრული, იშვიათად მრგვლოვანი; ხელნაწერის ძირითადი თხზულების სახელწოდება); 4. შინაარსი (იგულისხმება ანდერძის ან მინაწერის შინაარსი გადმოცემული მათი ტექსტისა და წიგნის ავტორის პერიფრაზული თხრობის კომბინაციით); 5. შენიშვნა, რომელშიც მითითებულია შესაბამისი ხელნაწერის აღწერილობაში გამოცემული ანდერძის ან მინაწერის ტექსტი. რადგან უმთავრესი მნიშვნელობის ანდერძ-მინაწერები რეალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ გამოცემათა სიმრავლის გამო შეუძლებელი გახდა მათი მითითება, მხოლოდ გამონაკლისის სახით, მითითებულია ორი ან სამი გამოცემა. ვინაიდან არ არსებობს ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების სრული კორპუსი, აღნიშნული ნაშრომი არის მცდელობა შეამზებუქოს ეს დანაკლისი. ნაშრომს ერთვის საძიებლები: მთარგმნელთა, გადამწერთა, მომგებელ-შემწირველთა, „შემკამზველ-განმაცხოველებელთა“, ორიგინალ თხზულებათა ავტორების, მინაწერების, ტექსტებში მოხსენიებული ეკლესია-მონასტრების საძიებლები.

III. მონოგრაფიული ნარკვევები და ტექსტების პუბლიკაციები

1965

29. ეფთვიმე მთაწმიდელის სვინაქსარული ცხოვრება (გამოკველევა და ტექსტი), კრებულში: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965, გვ. 7-68, აგრეთვე, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968, გვ. 46-96; აგრეთვე, შრომები, II ტომი, თბილისი, 2010, გვ. 5-55. რეზიუმე რუსულ ენაზე.

ე. გაბიძაშვილის ეს პირველი პუბლიკაცია, საფუძვლად დაედო საერთოდ სვინაქსარული ჰაგიოგრაფიის მონოგრაფიულ შესწავლას.

ნარკვევში პირველად არის ჩამოყალიბებული დებულება, რომ სვინაქსარული თხზულება ყოველთვის არ არის შესაბამისი ვრცელი თხზულების გამონაკრები, როგორც ეს დამკვიდრებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრება“ გაცილებით ადრეა შექმნილი, ვიდრე ვრცელი თხზულება და გიორგი მთაწმიდელმა იგი წყაროდ გამოიყენა ვრცელი თხზულების შექმნისას. სვინაქსარული „ცხოვრება“ ეფთვიმეს გარდაცვალებიდან (1028წ.) მოკლე დროში შეიქმნა მისი ხსენების დღეზე საკითხავის საჭიროებისათვის, ხოლო გიორგიმ ის მზამზარეული ფორმით შეიტანა თავის თარგმნილ „დიდ სვინაქსარში“ 13 მაისის დღეზე, ხოლო ცოტა მოგვიანებით მან დაწერა ეფთვიმეს და იოვანეს „ცხო-

ოვრება“ და სვინაქსარული ცხოვრება წყაროდ გამოიყენა. ეს დადასტურებულია თხზულებათა ტექსტოლოგიური შედარებების უამრავი მაგალითით.

ნარკვევს მოსდევს ეფთვიმეს სვინაქსარული ტექსტი, დადგენილი 15 ძველი ხელნაწერის მიხედვით (გვ. 58-67).

1968

30. ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული „ცხოვრება“ (გამოკვლევა და ტექსტები), ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968 (გვ. 218-225; 393-399), აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 90-104).

ნარკვევში ტექსტოლოგიური ძიებითა და წყაროების ჩვენებათა შეპირისპირებით დადგენილია, რომ ანტონ მარტომყოფელის ერთადერთი „ცხოვრება“, ისიც მხოლოდ სვინაქსარული რედაქციისა, „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ნუსხაში შეტანილია ვახტანგ ბატონიშვილის (შემდეგ ქართლის მეფე ვახტანგ VI) ხელმძღვანელობით შექმნილ „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ რომელიღაც ხელნაწერიდან უცვლელი სახით, რადგან ტექსტი დიდი მოცულობისა არ იყო (ხოლო სხვა ასურელი მამების „ცხოვრებები“ მათი დიდი მოცულობის გამო ანოტირებულია) და არა პირიქით, როგორც გამოთქმულია ვარაუდი სამეცნიერო ლიტერატურაში.

ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული „ცხოვრება“ ჩამოყალიბებული ჩანს XVII ს-ში, თუმცა ბევრ ისეთ საინტერესო ეპიზოდს წარმოგვიდგენს, რომელიც არ გვხვდება ასურელ მამათა გაცილებით ძველ და მრავალრიცხოვან „ცხოვრებებში“ (ანტონის ჩამოსვლა არა სირიელ მამებთან ერთად, არამედ მარტო და

ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის ასევე ხელთუქმნელი ანაბეჭდის (ასლის) ჩამოტანა, რომელსაც შემდეგ მარტყოფის ხელთუქმნელი ხატი ეწოდა და სხვა). არსებობს ანტონის სვინაქსარული „ცხოვრების“ ვრცელიდან შემოკლებული ვარიანტი მხოლოდ ერთი ხელნაწერით (H 1672 (1740წ.)), რომელშიც ვრცელის რამდენიმე ეპიზოდი შემოკლებულია ან გადაკეთებული.

ორივე რედაქციის ტექსტი გამოცემულია ყველა არსებული ხელნაწერის (ვრცელი – 7, მოკლე – 1) მიხედვით.

31. დავით და კონსტანტინეს სვინაქსარული „წამება“ (გამოკვლევა და ტექსტები), ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968 (გვ. 154-160; 249-257; 359-366), აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 151-158).

ნარკვევში დადგენილია, რომ დავით და კონსტანტინეს ქართულ ხელნაწერებში გამოვლენილი ხუთი მოკლე და შედარებით მოზრდილი სვინაქსარული „წამების“ ტექსტებიდან ყურადღებას იპყრობს ყველაზე ძველი XIII-XIV სს. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერში (P aris №4, თისლის (აწყურის მახლობლად) მონასტრის სვინაქსარში) შეტანილი ტექსტი. წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრისა, რომ ეს ტექსტი არის ამ მოწამეთა „წამების“ კიმენური რედაქცია და რომ მას ბევრი საერთო აქვს დღეს არსებულ ე.წ. „მეტაფრასულ“ წამებასთან, სინამდვილეში ის სვინაქსარული ტექსტია და ბევრ დეტალში სხვაობს „მეტაფრასულისაგან“ და მხოლოდ

შინაარსობრივ მსგავსებას იჩენს მასთან. ამასთანავე არ დასტურდება ფრაზეოლოგიური დამთხვევის არცერთი მაგალითები დანარჩენ სვინაქსარულ ტექსტებთან, რომლებიც დავით და კონსტანტინეს „წამების“ ვრცელი თხზულებიდან სხვადასხვა მოცულობის გამონაკრებ ტექსტებს წარმოადგენენ, და არც ვრცელთან.

ნარკვევს ერთვის ხუთივე სვინაქსარული ტექსტის პუბლიკაცია, დადგენილი ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით.

32. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ქართველი მოღვაწეები (გამოკვლევები და სვინაქსარული ტექსტები), ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968 (გვ. 96-125), აგრეთვე, შრომები, II, თბილისი, 2010 (გვ. 56-84).

ნაშრომში გამოქვეყნებულია პროხორე ქართველის (XI ს.), იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის მაშენებელის სვინაქსარული „ცხოვრების“ (XI ს. II ნახ.), ლუკა იერუსალიმელისა (+1370წ.) და ნიკოლოზ დვალის (1314 წ.) სვინაქსარული „წამებების“ ტექსტები, თითოეულ მათგანს ახლავს გამოკვლევა. სამივე ტექსტი ეკუთვნის სვინაქსარულ თხზულებათა ისეთ კატეგორიას, როდესაც შესაბამისი ვრცელი ცხოვრება-წამებები არ დაწერილა და მათ მაგივრობას ეს სვინაქსარული ტექსტები ასრულებენ. ისინი შეტანილი არიან გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარის“ იმ ნუსხაში, რომელიც გადაიწერა ჯვარის მონასტრისათვის, რომელშიც ჯერ ჩაიწერა პროხორეს სვინაქსარული ტექსტი, ხოლო მოგვიანებით ჩამატებულ ორ ფურცელზე ლუკა იერუსალიმელისა

და ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული „წამებები“.

33. ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრება (გამოკვლევა და ტექსტები) ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968 (გვ. 134-154, 261-262; 356-358). აგრეთვე შრომები, III ტ., თბილისი, 2011 (გვ. 159-176).

ნარკვევებში ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე დადგენილია წყაროები I რედაქციის სვინაქსარული ცხოვრებისათვის, ხოლო „დიდი სვინაქსარის“ ნუსხების შედარების საფუძველზე მტკიცდება, რომ ამ ძეგლის გიორგი მთაწმიდელის ხელიდან გამოსული თავდაპირველი ხელნაწერები არ შეიცავდნენ ილარიონის არც ხსენებას და მით უმეტეს, სვინაქსარულ ცხოვრებას. ე. გაბიძაშვილის ვარაუდით, ილარიონის ხსენება „დიდი სვინაქსარის“ ერთ-ერთ ნუსხაში თავად გიორგიმ შეიტანა, ხოლო ილარიონის სვინაქსარული ცხოვრება მოგვიანებით, არა უგვიანეს XII ს. დასაწყისისა უცნობმა გადამწერ-რედაქტორმა შეიტანა „დიდი სვინაქსარის“ ერთ-ერთ ნუსხაში, რომელიც შედგენილია ილარიონის „ცხოვრების“ კიმენური და მეტაფრასული რედაქციების საფუძველზე. სვინაქსარული „ცხოვრების“ კრიტიკული ტექსტი დადგენილია XII-XIII სს. რვა ხელნაწერის მიხედვით.

ილარიონის სვინაქსარული „ცხოვრების“ მეორე რედაქცია წარმოდგენილია მხოლოდ XVII-XVIII სს. ხელნაწერებში.

34. იოსებ ალავერდელის სვინაქსარული „ცხოვრება“ (გამოკვლევა და ტექსტი), ძველი

ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქცია), თბილისი, 1968 (გვ. 233-238; 403-406), აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 116-123).

ნარკვევში დადასტურებულია, რომ იოსებ ალავერდელის სვინაქსარული „ცხოვრება“ ამ წმინდანის შესახებ შექმნილი ერთადერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლია – მის შესახებ არც ვრცელი „ცხოვრება“ და არც სვინაქსარული „ცხოვრების“ სხვა რედაქცია არ შექმნილა, თუმცა ეს თხზულება ისე წილკნელისა და ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული „ცხოვრებათა“ მსგავსად შეიქმნა ძალიან გვიან, არა უადრეს XVIII ს. I ნახევრისა. მართალია, თხზულება ფრაზეოლოგიურად დამოუკიდებელია, მაგრამ შინაარსობრივად იგი სირიელ მამათა „ცხოვრებებზე“ დამყარებული (გვ. 233-238). ე. გაბიძაშვილი ეთანხმება კ. კეკელიძის აზრს, რომ ამ სვინაქსარული ტექსტის ავტორი არის მარიამ ბატონიშვილი – მონაზონი მაკრინა, იოსებ ალავერდელის საგალობლების პირველი ავტორი (რაც უეჭველია).

სვინაქსარული ტექსტი დადგენილია შვიდი ხელნაწერის საფუძველზე (გვ. 403-406).

35. ისე წილკნელის სვინაქსარული „ცხოვრება“ (გამოკვლევა და ტექსტი), ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968 (გვ. 225-233; 400-403), აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 105-115).

ისე წილკნელის „ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია მხოლოდ XVIII საუკუნის 20-იან წლებში დაწერა კათალიკოსმა ბესარიონ ორბელიშვილმა ასურელ მამათა „ცხოვრებებში“ დაცული ისე წილკნელის

შესახებ ეპიზოდების საფუძველზე. ნარკვევში ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევის შედეგები იძლევა იმის საფუძველს, რომ ვაღიაროთ: სვინაქსარული „ცხოვრება“ შეიქმნა გვიან, XVIII ს. I ნახევარში, ისევე როგორც ბესარიონის თხზულება, მაგრამ სვინაქსარული „ცხოვრება“, რომელიც მასალას კრებს ასურელ მამათა ძველი „ცხოვრებიდან“ ისევე, როგორც ბესარიონის მიერ შექმნილი ვრცელი „ცხოვრება“, რამდენიმე წლით უსწრებს ბესარიონის ვრცელი „ცხოვრების“ შექმნას.

ნარკვევს (გვ. 225-233) ერთვის 4 ხელნაწერის მონაცემებით დადგენილი კრიტიკული ტექსტი (გვ. 400-403; მეხუთე ხელნაწერში (S-3269, 1720-იანი წლები) სვინაქსარული ტექსტის მხოლოდ დასაწყისია).

36. ნინო განმანათლებელი (გამოკვლევა და სვინაქსარული ტექსტები), ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968 (გვ. 125-134; 181-184; 351-356), აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 139-150).

ნარკვევში მიმოხილულია ნინო განმანათლებლის სამისიონერო საქმიანობა და მისი სვინაქსარული „ცხოვრების“ ოთხი სხვადასხვა რედაქციის ტექსტი.

37. ქრისტიანული ღვთისმსახურება და სვინაქსარული ჰაგიოგრაფია, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), რედაქტორი ილ. აბულაძე, თბილისი, 1968 (გვ. 7-45).

ნარკვევის სათაური შეცვლილია და წარმოადგენს დასახელებული წიგნის შესავალ ნაწილს (გვ. 7-45), რომელშიც ჩამოყალიბებულია ქრისტიანული ეკლე-

სიის კალენდრის ფორმირების ეტაპები და კალენდრებში წმინდანთა მოხსენიების დღეების გაჩენა, ხოლო ამ ხსენების შევსება წმინდანის ბიოგრაფიული ცნობებით და კალენდრის სვინაქსარად ჩამოყალიბება. ნარკვევში წარმოდგენილია ძველი ქართული ხელნაწერებიდან ამოკრებილი ქართველ წმინდანთა ხსენების დღეები და მათი სვინაქსარული „წამება-ცხოვრებათა“ ეტაპობრივი მომრავლების შემთხვევები ღვთისმსახურების წიგნებში. ეს ნარკვევი დაბეჭდილია, აგრეთვე, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 5-34).

38. შიო გარეჯელის სვინაქსარული „წამება“ (გამოკვლევა და ტექსტი), ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968 (გვ. 317-320; 440-442), აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 177-181).

აქ წარმოდგენილია გარეჯის მონასტრის მონაზონის შიოსა და მასთან ერთად ლეკთაგან 1700 წ. დახოცილი 4 მონაზონის ხსენების დღის განგება სვინაქსარული წამებითურთ. მათ შესახებ სხვა რედაქციის ჰაგიოგრაფიული თხზულება არ შექმნილა. სვინაქსარული „წამების“ ტექსტიც ერთადერთი ხელნაწერით (A -1367) არის ცნობილი.

39. შიო მღვიმელის სვინაქსარული „ცხოვრება“ (გამოკვლევა და ტექსტები), ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968 (გვ. 160-178; 366-376), აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 124-138).

ნარკვევში დადგენილია, რომ ქართულმა ხელნაწ-

ერებმა შემოგვინახა შიო მღვიმელის სვინაქსარული „ცხოვრების“ ორი რედაქცია, რომელთაგან XIII ს. ძველი თხზულება შეტანილია შიომღვიმის ცნობილ ტიპიკონში (H -1349), ხოლო მეორე გვიანდელი 1726 წელს შეუდგენიათ მეტაფრასული „ცხოვრებიდან“ ადგილების გამოკრებით (A -220). გაცილებით საინტერესოა შიომღვიმის ტიპიკონში შეტანილი ტექსტი. მართალია, სვინაქსარული „ცხოვრება“ შიოს მეტაფრასული ცხოვრების მიხედვით არის შექმნილი, მაგრამ ავტორი ცდილობს წყაროსაგან ფრაზეოლოგიურად თითქმის დამოუკიდებელი, ზედმეტი სიტყვაკაზმულობისაგან განტვირთული ლიტურგიკული დანიშნულების მცირე მოცულობის ძველი შექმნას, რომელიც თითქმის ამოწურავს ვრცელი წყაროს შინაარსობრივ არსენალს. სვინაქსარულში ბევრი ისეთი დეტალია გადმოცემული, რაც მეტაფრასულში არ გვაქვს.

ნარკვევში სვინაქსარული „ცხოვრების“ ორივე ტექსტის დადგენისას გათვალისწინებულია დღესდღეობით შემორჩენილი თითო ხელნაწერი.

1971

40. რომანოზ ერისთავი და მისი უცნობი თხზულება (გამოკვლევა და ტექსტი), ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III (მეტაფრასული რედაქციები), თბილისი, 1971 (გვ. 291-311 – ტექსტი); ხ.ი. მრავალთავი, II, თბილისი, 1973 (გვ. 75-93 – ნარკვევი), აგრეთვე, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 35-53 – ნარკვევი).

რომანოზ ერისთავს (მიტროპოლიტს) გარეჯის მონასტერში მონაზვნობის დროს დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრებით“ მიღებული შთაბეჭ-

დილებების გავლენით 1737-1740 წწ. დაუწერია დავით გარეჯელის ახალი მეტაფრასული „ცხოვრება“, რომელიც ძველი მეტაფრასულის მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ იგრძნობა რომანოზის ლიტერატურული ნიჭი და დამოუკიდებელი წერის მანერა. ეს თხზულება მიჩნეული იყო დავით გარეჯელის ტრადიციულ თხზულებად, ხოლო რომანოზი – გადამწერად. მხოლოდ 1970წ. ხელნაწერზე მუშაობის დროს ე. გაბიძაშვილმა შეამჩნია, რომ ეს თხზულება დამოუკიდებელი „ცხოვრება“ იყო და შეისწავლა მისი ტექსტოლოგიური თავისებურებანი (ხ.ი. მრავალთავი, II, გვ. 75-99), ხოლო ტექსტი მანამდე დაიბეჭდა ძეგლების III ტომის დანართში ც.არქ. №252 მიხედვით.

1975

41. 14-ტიტლოვანი ნომოკანონის ქართული თარგმანი – დიდი სჯულისკანონი, ნარკვევი – „დიდი სჯულისკანონის 1975 წლის გამოცემის შესავალი სტატია, 1975 (გვ. 5-99), აგრეთვე, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 54-141).

ნარკვევში გაანალიზებულია საეკლესიო კანონმდებლობის პრობლემები. წარმოდგენილია ბერძნული დედნის ჩამოყალიბების ისტორია, ძეგლის წყაროები, ტექსტის პუბლიკაციები. შეფასებულია ქართული კანონიკური მწერლობის მდგომარეობა ამ ძეგლის თარგმნამდე. დადგენილია ქართულად ძეგლის თარგმნის თარიღი და მთარგმნელის ვინაობა, რაც ცვლის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მცდარ დებულებებს. გარკვეულია „დიდი სჯულისკანონის“ არსენ იყალთოელის ნათარგმნ ტექსტში მოგვიანებით შეტანილი დამატებული, შევსებული ადგილების (სისტემატურ ნაწილში) გამო, ორი, განსხვავებული რედაქციის არსებობა, ხოლო ამ

უკანასკნელის ტექსტის (H -1670) ბერძნულ დედანთან შეჯერებით, მესამე რედაქციის არსებობის ნიშნები. ნარკვევში ჩატარებულია ქართული თარგმანის შესავლის, სისტემური და ძირითადი ნაწილების ვრცელი ფილოლოგიური ანალიზი და გამოვლენილია ბერძნული დედნის მრავალი ბუნდოვანი და მცდარი ადგილები, რომელთა გასწორება შეიძლება ქართული თარგმანის მონაცემებით.

ნარკვევში ტექსტოლოგიური ანალიზით დადგენილია, რომ 1105 წელს მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას „ძეგლისწერაში“ წარმოდგენილი კანონების შედგენისას „დიდი სჯულისკანონით“ უსარგებლია. ე.ი. „დიდი სჯულისკანონი“ არსენ იყალთოელს უთარგმნია „ძეგლისწერის“ შედგენამდე – 1105 წელზე ადრე და არა შემდეგ, როგორც ეს გამოთქმულია სამეცნიერო ლიტერატურაში, კონკრეტულად კი XI ს. ბოლოს (ნარკვევში ნავარაუდებია, რომ ამ ძეგლის უადრესი ხელნაწერი A-124 გადაწერილი უნდა იყოს XI ს. ბოლოს).

1980

42. ანტონ I-ის ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებები „მარტირიკაში“, წიგნში: ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI (მარტირიკა), თბილისი, 1980 (გვ. 489-524); აგრეთვე, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 396-422).

ანტონ კათალიკოსმა საქართველოს ეკლესიის კალენდარში შეტანილ ეროვნულ მოწამეებს მიუძღვნა ოცი მარტიროლოგიური „შესხმა და მოთხრობა ღვაწლთა და ვნებათა...“, რომელთა შორის არის ოთხი კატეგორიის თხზულება: 1. უძველეს „წამებათა“ საფუძველზე შექმნილი თხზულებები (8), 2. ანტონის

მიერ შექმნილი ორიგინალური თხზულებები (5), 3. საეკლესიო კალენდარში შეტანილი სომეხ მოწამეთა თხზულებები (3) გვ. 439-524 და 4. XVIII ს. შექმნილ „წამებათა“ საფუძველზე შექმნილი თხზულებები.

ნარკვევში განხილულია პირველი სამი კატეგორიის თხზულებათა შექმნის ისტორიისა და წყაროებთან მიმართებით ტექსტოლოგიური საკითხები (მეოთხე კატეგორიის თხზულებები განხილულია მ. ქავთარიას ნარკვევში (გვ. 445-489).

43. „მარტირიკის“ ზოგიერთი ენობრივ-სტილისტური თავისებურება, წიგნში: ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI (მარტირიკა), თბილისი, 1980 (გვ. 525-586); აგრეთვე, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 207-254).

ნარკვევში აღნიშნულია, რომ „მარტირიკის“ ენა ეფუძნება ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილ პირველი მეცნიერული გრამატიკის ნორმებს, რომელიც გამოხატავს ავტორის თეორიულ შეხედულებებს ქართული ენის შესახებ. საერთოდ ანტონის თხზულებათა ენა იოანე პეტრიწის მიერ რეფორმირებული ქართული ენის თავისებურებათა თვალსაჩინო გავლენას განიცდის. ნარკვევის დასაწყისში განხილულია ანტონის მიერ დამკვიდრებული ორთოგრაფია, სასვენი და დიაკრიტიკული ნიშნები, დაქარაგმების კატეგორიები. ნაჩვენებია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი და სტილი ტექსტიდან ამოწერილი მაგალითებით.

ნარკვევში შესწავლილია „მარტირიკაში“ გამოყენებული მხატვრული თხრობის საშუალებანი და ლექსიკური არსენალი.

1992

44. ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობის ზოგიერთი საკითხი, ხ.ი. მრავალთავი, XVII, თბილისი, 1992 (გვ. 3-37); აგრეთვე, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 255-292).

ნარკვევი დაიწერა ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ექვსტომეულის გამოცემისათვის (ბოლო V ტომი გამოვიდა 1989 წელს (ხოლო სათვალავით VI ტ. – 1980წ.). მასში ვრცლად არის მიმოხილული ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია, „წამებათა“ და „ცხოვრებათა“ სპეციფიკა, თხზულებათა რედაქციებად დაყოფის საფუძვლები, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში სასულიერო მწერლობის დარგების ასახვის საკითხები, ავტორთა მოხსენიება-არმოხსენიების მიზეზები, აგრეთვე მათი ცენზი და უფლებამოსილების საკითხები, ქართული და ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის შედარებითი დახასიათება და სხვა მრავალი საკითხი.

1997

45. უცნობი ბიზანტიელი ჰაგიოგრაფი ძველ ქართულ ნათარგმნ მწერლობაში – ნიკიფორე ურანოსის „თეოდორე ტირონის მეტაფრასული წამება“ (გამოკვლევა და ტექსტი), საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, II, თბილისი, 1997 (გვ. 73-88); აგრეთვე, ე. გაბიძაშვილის შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 437-450).

ნაშრომში დადგენილია, რომ ეფრემ მცირის ცნობა, რომ გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულიდან თარგმნა სვიმეონ ლოლოთეცის მეტაფრასული თხზულება – თეოდორე ტირონის „წამება“, ზუსტი არ აღმოჩნდა. ბერძნულ წყაროებში გამოვლინდა თეოდორე ტირო-

ნის მეტაფრასული „წამება“, რომლის ორი ხელნაწერიდან ერთი ავტორად ნიკიფორე ურანოსს ასახელებს, ხოლო მეორე ხელნაწერი – ნიკიფორე მაგისტროსს, რაც ერთსა და იმავე პირს გულისხმობს. ქართულ ხელნაწერებში (6 ხელნაწერიდან უძველესია A 129, XII-XIII სს.) შეტანილი თეოდორე ტირონის მეტაფრასული „წამების“ ტექსტი ზუსტად მიჰყვება ბერძნულ თხზულებას, ე.ი. ბერძნული ტექსტი სვიმეონ ლოლოთეტს კი არ ეკუთვნის, არამედ ნიკიფორე ურანოსს, სვიმეონის ახლო მეგობარს, რომლის თარგმანი გიორგი მთაწმიდელმა შეასრულა. ნარკვევს ერთვის ტექსტის პუბლიკაციაც.

1999

46. ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის მხოლოდ ქართული თარგმანით შემორჩენილი თხზულება – პავლე კორინთელის „ცხოვრება“ (გამოკვლევა და ტექსტი), ხ.ი. მრავალთავი, XVIII, თბილისი, 1999 (გვ. 318-335); აგრეთვე, შრომები, II, 2010 (გვ. 406-423).

ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობის ისტორიაში პავლე კორინთელის სახელი იხსენიება ბერძნული სვინაქსარის კაპიტალურ გამოცემაში, რომელიც გამოსცა 1902წ. H. Del etaye-მ. წმინდანის 28 თებერვალსა და 6 ნოემბერს შეტანილი ხსენება ერთი წინადადებით ამოიწურება. გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ „დიდ სვინაქსარში“ პავლეს ხსენება საერთოდ არ არის შეტანილი, ე.ი. გიორგის სვინაქსარის ისეთი დედანი ჰქონდა, რომელშიც ჯერ კიდევ არ იყო შეტანილი ამ მოწამის ხსენება.

ბერძნულენოვან ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა ბიბლიოგრაფიაში (BHG), რომელიც შეუდგენია F. Hal kins (IIIტ., გვ. 64, §2362) მითითებულია Xს. ერთი ნაკლული

ხელნაწერი (Cod. Paris 1452), რომელსაც პავლე კორინთელის „ცხოვრების“ დასაწყისის მხოლოდ ათიოდე სტრიქონი შემოუნახავს. F. Halak 1910 ადნიშნავს, რომ სანამ არ აღმოჩნდება ამ წმინდანის „ცხოვრების“ სრული ტექსტი, სხვა არაფერი გვაქვს მის შესახებ გარდა იმისა, რაც წარმოვადგინეთო.

ასეთი სრული „ცხოვრება“ მართლაც აღმოჩნდა, მაგრამ არა ბერძნულ ხელნაწერებს შორის, არამედ ქართული თარგმანით დაცული ქუთ. 1, XVI ხელნაწერში (231r -242v). თხზულება საკმაოდ ვრცელია (ხელნაწერის 22 გვერდი) და ავსებს ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კიდევ ერთ ხარვეზს. ასეთი თხზულებები მრავლადაა შემორჩენილი მხოლოდ ქართული თარგმანით. თხზულება, რომელიც დაახლოებით VIII ს. უნდა იყოს შექმნილი და ქართულად XII ს. უნდა ეთარგმნათ, რადგან მისი ფრაგმენტი, დაახლ. 10-12 სტრიქონი შესულია ქუთ. 650, ეტრატზე ნაწერ დაახლოებით XIII ს. ხელნაწერში (და არა XVI ს., როგორც ეს აღწერილობაშია მითითებული).

პავლე კორინთელის, სალოსად წოდებულის „ცხოვრების“ ტექსტი დაყოფილია 72 მცირე პარაგრაფად და ძირითადად შეიცავს პავლე კორინთელის სასწაულების აღწერას (გვ. 318-335).

2001

47. პირველი წმინდანების დღესასწაულთა მოსახსენებელი დღეები ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით, ხ.ი. მრავალთავე, XIX, თბილისი, 2001 (გვ. 96-109); აგრეთვე, შრომები, I, 2010 (გვ. 396-447).

ნარკვევში წარმოდგენილია ქრისტიანული საეკლესიო კალენდრის განვითარების ეტაპები, მასში წმინდანთა ხსენებათა შეტანის პერიოდულობა.

გარკვეულია, რომ ქართველ წმინდანთა რამდენიმე ხსენება ჩაიწერა გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარის“ პირველ ნუსხებში თვით მთარგმნელის მიერ (ეფთვიმეს ხსენება და სვინაქსარული „ცხოვრება“, იოანე მთაწმიდელის ხსენება), ცოტა მოგვიანებით, უკვე გიორგის გარდაცვალების შემდეგ მომრავლდა სვინაქსარებში (ილარიონის ხსენება, კიდევ უფრო გვიან ილარიონისვე სვინაქსარული „ცხოვრება“, პროხორე ქართველის სვინაქსარული „ცხოვრება“, წმ. ნინოს სვინაქსარული „ცხოვრება“). „დიდი სვინაქსარის“ ერთ-ერთ ნუსხაში (A 97) აშიაზე მიწერილია ქართველ წმინდანთა მრავალი ხსენება მათი ხსენების დღეების მიხედვით, ხოლო შემდგომ ლიტურგიკულ კრებულებში (სვინაქსარები, სადღესასწაულოები, ტიპიკონები და სხვ.). ეს ხსენებები შევიდა ძირითად ტექსტში.

კიდევ უფრო ძველია (X ს.) იოვანე ზოსიმეს მიერ სხვადასხვა ეკლესიათა კალენდრების საფუძველზე შედგენილი მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის წმინდანთა ხსენების კალენდარი, რომელშიც რამდენიმე ქართველი წმინდანის ხსენებაცაა შეტანილი. ნარკვევს ახლავს ქართველ წმინდანთა ხსენებების შემცველი ხელნაწერების სია და ხსენებათა მითითება. ამოკრებილი ყველა ეს ხსენება ერთვის ნარკვევს ცხრილის სახით.

2004

48. ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, ნარკვევი წიგნში, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004 (გვ. 13-115); აგრეთვე, შრომები, II, თბილისი, 2010 (გვ. 144-243).

ნარკვევი უძღვის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ბიბლიოგრაფიას და წარმოადგენს

ერთგვარ გზამკვლევს ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის რთულ ლაბირინთში. მხოლოდ ნარკვევის ნაწილების დასათაურებების მიხედვითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს სირთულეები: შესავალ ნაწილში (გვ. 13-23) წარმოდგენილია ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული მწერლობის წარმოშობის საფუძვლების ანალიზი, მისი ჟანრობრივი ფორმები და სტილისტური მოდერნიზაცია, ლიტურგიკული დანიშნულება, ქრისტიანთა დევნის პერიოდის ჰაგიოგრაფიული „წამების“ ჟანრი და დევნის შეწყვეტის (IV ს-ის I ნახევარი) შემდეგ ჩამოყალიბებული „ცხოვრების“ ჟანრი, მათი იდეოლოგიური საფუძვლები და სხვ., შესავალს მოსდევს: I. მარტიროლოგიური ჟანრის თხზულებათა ქართული თარგმანები, რომელთა ქვეთავებია: „წმიდა მხედრები“, „უვეცხლოდ „მკურნალები“, საერო პირები – მოწამეები, მოწამე დედები, „მწვალებელთა“ და მაჰმადიანთაგან დასჯილი მოწამეები, მღვდელმოწამეები, ღირსი (ე.ი. მონაზონი) მოწამეები, მოწამეთა სახელობის სახალხო-რელიგიური დღესასწაულები საქართველოში, „აღმსარებლები“. თითოეულ ამ ქვესათაურთან მოტანილია „წამებათა“ შემცველი ყველა ქართული ხელნაწერი და შესაბამისი მითითებანი (გვ. 23-52). II. „ცხოვრება-მოქალაქობის“ ჟანრის თხზულებათა ქართული თარგმანები, რომელიც შეიცავს შესავალს და ხუთ ქვეთავს: „მესვეტეები“, „საღოსები“, ცნობილ მონაზონთა „ცხოვრებანი“, მოღვაწე დედები, მღვდელმთავრები, შესაბამისი ხელნაწერების მონაცემებით (გვ. 52-73). III. მეტაფრასული ჰაგიოგრაფია – სვიმეონ ლოლოთეცისა და იოანე ქსიფილინოსის თხზულებათა მემკვიდრეობის მიმოხილვით (გვ. 73-81). IV. ე.წ. აპოკრიფული ჰაგიოგრაფიის შესახებ. V. „შესხმები“ ჰომილეტიკაა, თუ ჰაგიოგრაფია? VI. სვინაქსარული ჰაგიოგრაფია

და VII. აღმოსავლურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ქართული თარგმანები, რომელიც მოიცავს სამ ქვეთავს: ქართულ-სირიული, ქართულ-სომხური და ქართულ-არაბული (ქრისტეანული) ლიტერატურული ურთიერთობანი (91-108) და ბოლოს, VIII. მხოლოდ ქართულ თარგმანში შემორჩენილი ჰაგიოგრაფიული თხზულებანი. ყველა ჩამოთვლილ თავსა და ქვეთავს ერთვის შესაბამისი ხელნაწერთა მონაცემები.

2005

49. ორიგინალური მეტაფრასული ჰაგიოგრაფია და თხზულებათა რედაქციებად დაყოფის საფუძველი, ხ. ი. მრავალთავი, XXI, თბილისი, 2005 (გვ. 5-14); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 217-227).

ნარკვევის შესავალ ნაწილში მიმოხილულია ჰაგიოგრაფიული მწერლობის X ს. ჩამოყალიბებული ახალი ჟანრი, ანუ მიმართულება – მეტაფრასული ჰაგიოგრაფია, რომლის დამფუძნებელი იყო სვიმეონ ლოლოთეტი, მეტაფრასტად წოდებული, და მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის თარგმანების გზით ქართული ორიგინალური მეტაფრასტიკის ჩამოყალიბების პროცესები.

აღნიშნულია, რომ პირველი ასეთი თხზულება, როგორც მოსალოდნელი იყო, საზღვარგარეთ, კერძოდ, ბიზანტიაში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა წრეში შეიქმნა. ეს იყო ილარიონ ქართველის მეტაფრასული „ცხოვრება“, რომელიც თეოფილე ხუცეს-მონაზონმა შეადგინა ილარიონის უფრო ადრინდელ თხზულებათა საფუძველზე. აქ აღნიშნულია, რომ ლეონტი მროველის მიერ შექმნილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს გადამუშავების გზით დაწერილი წმიდანინოს „ქართლის ცხოვრებისეულ“ თხზულებას არ

შეიძლება მეტაფრასული ეწოდოს, რადგან ის არ ითვალისწინებს წყაროს ფრაზეოლოგიის გაკეთილშობილებას, არამედ წარმოადგენს მის გადაკეთებას ისტორიული მემკვიდრის თვალსაზრისის შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესატანად. არსენ იყალთოელის მიერ, დაახლოებით XII ს. დასაწყისში შექმნილი ნინო განმანათლებლის შესახებ დაწერილი თხზულება, შექმნილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს და ლეონტის თხზულებათა გათვალისწინებით, ნამდვილად მეტაფრასულია, ისევე, როგორც ასურელი მამების კიმენურ „ცხოვრებათა“ მიხედვით შექმნილი მეტაფრასული „ცხოვრება“ (იოანე ზედაზნელის, შიომღვიმელის და დავით გარეჯელის), რაც შეეხება აბიბოს ნეკრესელის X ს. შექმნილი „წამების“ ვრცელ ვარიანტს შექმნილს კიდევ უფრო ადრინდელი, ამ წმინდანის „წამების“ ტექსტის ოდნავი ფრაზეოლოგიის გავრცობით, მეტაფრასულად ვერ ჩაითვლება, რადგან ამ დროს მეტაფრასული მწერლობა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ იყო ბიზანტიაშიც კი. ნარკვევში მითითებულია განსხვავებანი ბიზანტიურ მეტაფრასტიკასთან მიმართებით (ბიზანტიურში გამეტაფრასირება შეეხო ძირითადად „წამებათა“ უანრს, ხოლო ქართულში – „ცხოვრებებს“).

2007

50. ევსტათი მცხეთელის „მარტვილობა“ (ნარკვევი), ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, V, თბილისი, 2007 (გვ. 43-77); აგრეთვე, ე. გაბიძაშვილის შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 448-472).

ნარკვევში ვრცლად არის მიმოხილული ევსტათი მცხეთელის „მარტვილობის“ სარწმუნოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური და ტექსტოლოგიური საკითხები,

სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე მიღებული თვალსაზრისების საპირისპიროდ ახლებურად არის გაანალიზებული ევსტათის მცხეთაში ქორწინებისა და ნათლობის ეპიზოდები.

2009

51. ილია აბულაძე ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, კრებულში „ილია აბულაძე 100“, თბილისი, 2009 (გვ. 18-33); აგრეთვე, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 375-393).

ნარკვევი ეძღვნება პროფ. ილია აბულაძის დაბადებიდან 100 წლისთავს, რომელშიც წარმოჩენილია მისი დამსახურება ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ მეცნიერებათა წინაშე და მისი მრავალრიცხოვანი მონოგრაფიებისა და სამეცნიერო წერილების ანალიზი თითოეულ მათგანში დასმული პრობლემების მიხედვით.

52. ნათარგმნი აპოკრიფები (ნარკვევი) წიგნში: ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 2009 (გვ. 369-390); აგრეთვე, შრომები, II, თბილისი, 2010 (გვ. 390-405).

ნარკვევში, რომელიც უძღვის აპოკრიფულ თხზულებათა ბიბლიოგრაფიას, განხილულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თემატიკაზე შექმნილ აპოკრიფებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და მათი შინაარსი. ავტორის აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში „არაკანონიკური“ წიგნების აპოკრიფებად გამოცხადება სწორი არ არის. როგორც ნარკვევშია აღნიშნული, ეკლესიის მამათა შრომებში ახსნილია, რომ ძველი აღთქმის „კანონიკური“ წიგნები შეესატყვისება წიგნების დაყოფას 22 წიგნად, მათი

ანბანის რიცხვის შესაბამისად, „არაკანონიკური“ მოგვიანებით ებრაულ და ბერძნულ ენებზე შექმნილი წიგნები (22-ს ზემოთ), რომლებიც ებრაულ კანონში არ შედის და რომლებსაც წმინდა მამები უწოდებენ: „დაწერილივე მამათა მიერ“. ათანასე დიდის სიტყვებით აპოკრიფული ლიტერატურა „დაფარულთა“ რიგშია: „... არცა მათ განკანონებულთა და არცა ამათ განუკანონებელად საკითხავთა შორის იპოვების საცსენებელი დაფარულთად, არამედ იგინი მწვალებელთანი არიან მოპოვებული (ე.ი. მოგონებული)“. ნარკვევში განხილულია ძველი და ახალი აღთქმის აპოკრიფული თხზულებები.

53. ნათარგმნი ბიბლიოლოგია (ნარკვევი) წიგნში: ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 2009 (გვ. 11-74); აგრეთვე, შრომები, II, თბილისი, 2010 (გვ. 324-372).

საცნობარო ნარკვევის მოკლე შესავალში აღნიშნულია, რომ ბიბლიოლოგია არის ქრისტიანული სასულიერო მწერლობის ფუნდამენტური დარგი, რომელსაც ემყარება სასულიერო მწერლობის ყველა დანარჩენი დარგი გამონაკლისის გარეშე და მოტანილია ამის დამამტკიცებელი მაგალითები. ნარკვევს აბოლოებს „ზოგიერთი განმარტება ბიბლიურ წიგნთა შესახებ“, რომელშიც განხილულია ბიბლიოლოგიის ტერმინების შინაარსი: კანონიკური, არაკანონიკური, აპოკრიფული, შემდეგ კი დახასიათებულია ცნობილი ბიბლიური კრებულების (ოშკის ანუ ათონის ბიბლია, გელათის კატენებიანი ბიბლია, მცხეთის ბიბლია, ბაქარის ბიბლია) სპეციფიკა, აგრეთვე ახალი აღთქმის წიგნებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი.

54. ნათარგმნი ეგზეგეტიკა (ნარკვევი) წიგნში: ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 2009 (გვ. 226-248); აგრეთვე, შრომები, II, თბილისი, 2010 (გვ. 373-389).

ნარკვევში დახასიათებულია ეგზეგეტიკური მწერლობა, როგორც ბიბლიურ ტექსტთა კომენტარებისა და საღვთისმეტყველო განმარტებათა ხელოვნება და მისი როლი მრევლისათვის ბიბლიურ წიგნთა ისტორიულ-ფილოლოგიური და ღვთისმეტყველებითი საკითხების „თარგმანების“, ე.ი. ახსნა-განმარტების აუცილებლობაში. ნარკვევში წარმოდგენილია ყველა ეგზეგეტიკოსი, რომელთა ბიბლიური წიგნების „თარგმანება“ ქართულად არის ნათარგმნი.

55. ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა (ნარკვევი) წიგნში: ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 2009 (გვ. 14-60); აგრეთვე, შრომები, II, თბილისი, 2010 (გვ. 244-278).

ნარკვევის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ბიზანტიური ჰომილეტიკური მწერლობის დასაწყისისა (III ს.) და კლასიკური პერიოდის (VIII ს.) ქადაგებათა ქართული თარგმანების შეფასება და მათი როლი დოგმატური და პოლემიკური ლიტერატურის ჩამოყალიბებაში, ჰომილეტიკური „შესხმების“ ერთიანობის საკითხი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურასთან, ჰომილეტიკური მწერლობის შინაარსობრივი პოლიჟანრული ხასიათი და სხვ. ნარკვევის ძირითად ნაწილში ჩამოთვლილია ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილი ჰომილეტიკურ თხზულებათა ავტორები, მათი თხზულებებისა და მათი შემცველი ხელნაწერების დასახელებით. ცალკეა გამოყოფილი ჰომილეტიკურ თხ-

ზულებათა კრებულები და მათი შემცველი ხელნაწერები, საზგასმულია ქართველ მთარგმნელთა ნაღვაწი. დაძებნილია ბიზანტიური ჰომილეტიკური ლიტერატურის კვალი ქართულ ორიგინალურ სასულიერო მწერლობაში და ახსნილია ქართული ჰომილეტიკური მწერლობის XVIII ს-მდე სუსტი განვითარების მიზეზი.

2010

56. კანონიკური სამართლის წყაროები (ნარკვევი), ე. გაბიძაშვილი, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 322-374).

ნარკვევში აღნიშნულია, რომ კანონიკური სამართლის უპირველესი წყარო ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში გადმოცემული თეორიული სწავლებებია, ხოლო კონკრეტული კი 1) მოციქულთა კანონები, 2) მსოფლიო საეკლესიო შვიდი საეკლესიო კრების კანონები, 3) ადგილობრივი – საგანგებოდ შერჩეული ათი საეკლესიო კრების კანონები და დიდ საეკლესიო მამათა ეპისტოლეებში ასახული კანონიკური საკითხები, ოღონდ მსოფლიო VI (ტრულის) კრების მიერ გამოტანილი დადგენილების შემდეგ. თითოეული აქ წარმოდგენილი წყარო ვრცლად არის მიმოხილული.

57. მაქსიმე აღმსარებელის „პასექისათჳს“ (ნარკვევი), ე. გაბიძაშვილი, შრომები, II, თბილისი, 2010 (გვ. 85-143).

ნარკვევის შესავალ ნაწილში განმარტებულია მაქსიმე აღმსარებელის თხზულების მიზანდასახულობა, თხზულების ადრესატისათვის გაგზავნილი განმარტებები, როგორ უნდა გამოვიანგარიშოთ: 1) ებრაელთა წინასაადღგომო მარხვის დასაწყისის დღე;

2) ებრაელთა დღესასწაულის „ლხინების“ (10 თერსს) არსი; 3) ებრაელთა აღდგომის დღე (14 ნისანს), რომელიც ქრისტიანული აღდგომის გამოსაანგარიშებლად არის საჭირო (თხზულებაში წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია მასში შემაჯავლი პასქალის ელემენტების განმარტება, ძირითადად, თხზულების I ნაწილში). განმარტებები ეხება: მთვარის წელს, მთვარის ზედნადებებს, ევმოლიმურ თვეებს, მზის ციკლსა და მზის ზედნადებებს და სხვ. თხზულების II ნაწილი წარმოადგენს ძეგლში აღწერილი პასქალური სისტემის შედარებას ერთ-ერთ ბიზანტიურ პასქალურ სისტემასთან („ხუთმკეცველთა“) და მის კრიტიკას. III ნაწილში განმარტებულია: 1) შვიდეულის დღის პოვნის ხერხი ჩვენთვის საინტერესოთვის რიცხვში; 2) მთვარის ასაკის პოვნა ეგვიპტური თოთისთვის რომელიმე რიცხვში და ა.შ. თხზულების III ნაწილი მთავრდება დასაბამითგან დაწყებული ქრონოლოგიური სიით, I-II 532 წლიანი ციკლების დასასრულის თარიღები აღნიშნული ქრონოლოგიის მიხედვით და სხვ. თხზულების IV ნაწილი ფრაგმენტულ შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ განხილული საკითხებიდან უმრავლესობა წინა ნაწილებშია განხილული, ახალია: ერთი პასქალური მთვარიდან მომდევნო პასქალური მთვარის პოვნა, რომაული კალენდრების, იდეების, ნონების გადაყვანა იულიანურ კალენდარზე და სხვ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტექსტი ჯერ არ არის გამოსაცემად ბოლომდე მომზადებული, ამიტომ ნარკვევში ტექსტზე საუბარია მხოლოდ ხელნაწერის მიხედვით. ნარკვევში დაბეჭდილია თითქმის ყველა ცხრილი (12), რომელიც შესულია თხზულების ხელნაწერში.

58. „საბინეს წამება“, ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის დღემდე უცნობი ქართული თარგმანი (გამოკვლევა და ტექსტი), მიხეილ ქავთარიას დაბადების 80- წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში; აგრეთვე, ე. გაბიძაშვილი, შრომები, II, თბილისი, 2010 (გვ. 424-436).

ნაშრომში საუბარია, რომ ახალი ჰაგიოგრაფიული ნათარგმნი მეტაფრასული „წამების“ კარგა მოზრდილი ტექსტი აღმოჩნდა სამეცნიერო წრეებში საკმაოდ ცნობილ ხელნაწერში ქუთ. 2 (XVI ს.); საქმე ისაა, რომ ხელნაწერის აღწერილობაში არ არის დაფიქსირებული, რომ 13 მარტის საკითხავად ხელნაწერში შეტანილი „სიტყუად ექსორიობით აღმოყვანებისათვის სხეულისა წმიდისა ნიკიფორესსა...“ ბოლონაკლული ტექსტია, რომელსაც აგრძელებს თავნაკლული „წმიდა საბინეს წამება“ და ხელნაწერის ეს ხარვეზი შეუმჩნეველი დარჩა და თავნაკლული ტექსტი წინა თხზულების ნაწილად არის ჩათვლილი.

„წმ. საბინეს წამების“ საკმაოდ ვრცელი ტექსტი მეტაფრასული თხზულება აღმოჩნდა და ამიტომ არის იგი შეტანილი იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული კრებულის ქართულ თარგმანში, თუმცა მისი დედანი – ბერძნული მეტაფრასული თხზულება, ჯერჯერობით არ ჩანს. ქართული ნაკლული ტექსტი, რომელიც ერთადერთია, შეიძლება შინაარსობრივად აღვადგინოთ ბერძნული კიმენური ტექსტის მიხედვით, ანდა გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი საკმაოდ მოზრდილი საბინეს სვინაქსარული „წამების“ მიხედვით, რომელიც შეტანილია „დიდ სვინაქსარში“ 13 მარტს.

წმ. საბინეს მეტაფრასული „წამება“ პირველად გამოიცა შესავალ წერილთან ერთად.

59. ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია (ნარკვევი), ე. გაბიძაშვილი, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 145-206).

ნარკვევში განხილულია ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა დასაწყისიდან – V ს.-დან XIX ს. ჩათვლით ორ ნაწილად: „წამება-მარტვილობანი“ და „ცხოვრება-მოქალაქობანი“. პირველ ნაწილში გამოყოფილია სამი თავი: I. მაზდეან ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ქართული მარტიროლოგიური ჰაგიოგრაფიის (V-VI სს.) ძეგლები (ოთხი თხზულება); II. მაჰმადიან არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ქართული მარტიროლოგიური ჰაგიოგრაფიის (VIII-X სს.) ძეგლები (ხუთი თხზულება); III. მუსლიმი სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ქართული მარტიროლოგიური ჰაგიოგრაფიის (XVI-XVIII სს.) ძეგლები (სამი თხზულება). მეორე ნაწილში წარმოდგენილია ოთხი თავი: I. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ცხოვრებაჲ წმიდა ნინოჲსი“; II. ასურელ მამათა „ცხოვრების“ ძველი რედაქციები (4 თხზულება); III. სამხრეთ საქართველოს სამონასტრო მშენებლობის ამსახველი ჰაგიოგრაფიული „ცხოვრების: ჟანრის თხზულებები (ორი თხზულება); IV. ათონის მთის ქართული ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ციკლი (3 თხზულება + პეტრე ქართველის (იბერი) ცხოვრება).

ცალკე, მესამე ნაწილად წარმოდგენილია ქართული მეტაფრასული რედაქციის თხზულებები (ათი თხზულება). ბოლოს მიმოხილულია შემოკლებულ „ცხოვრებათა“ სამი თხზულება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული სვინაქსარული ცხრა საკითხავი. ნარკვევის დამატებაში გამოთქმულია ეჭვი სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგიერთი სომხური თემატიკის ჰაგიოგრაფიული თხზულების ორიგინალურ თხზულებებად მიჩნევის გამო.

60. ძველი ქართული კანონიკური მწერლობა (ნარკვევი), ე. გაბიაშვილი, შრომები, I, თბილისი, 2010 (გვ. 293-321).

ნარკვევში ნაჩვენებია კანონიკური ანუ საეკლესიო სამართლის ჩამოყალიბების რთული პროცესი, კანონიკური სამართლის კანონმდებლობის ფორმირება და მისი ასახვა კანონიკურ კრებულებში, კრებულების ეტაპობრივი შევსების პროცესი შესაბამისი დროის საეკლესიო კრებათა დადგენილებათა მიხედვით ქრისტიანული ეკლესიის კანონიკური კოდექსის ჩამოყალიბებამდე (883წ.) ბიზანტიაში, ბერძნული ნომოკანონის გათვალისწინებით ქართული კანონიკური მწერლობის ჩამოყალიბება.

ნარკვევში განხილულია კანონიკური მწერლობის უმთავრესი ბიზანტიური ძეგლები, ორიგინალური ქართული ძეგლები და ბიზანტიური კანონიკური ძეგლების ქართულად გადმოკეთებული (მცირე სჯულისკანონი) თხზულებები.

2011

61. ნათარგმნი ლიტურგიკა (ნარკვევი) წიგნში: „ქართული ნათარგმნი ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 2011 (გვ. 12-90); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 5-67).

ლიტურგიკულ თხზულებათა და კრებულთა ბიბლიოგრაფიას უძღვის ნარკვევი და შესავალ ნაწილში ღვთისმსახურების თანდათან შევსების ეტაპებს განიხილავს, შესაბამისად, ქრისტიანული სასულიერო მწერლობის დარგების ჩამოყალიბების საფუძველზე (ჰაგიოგრაფია – წმინდანთა კულტი, ქადაგებები საუფლო და საეკლესიო დღესასწაულებზე, ჰიმნოგრაფიული კანონი, ტიპიკონის შედგენა და სხვა მრავალი).

განხილულია ლიტურგიკული კრებულების შედგენის აუცილებლობა და მათი შედგენის სპეციფიკა („საკითხავები სახარება-სამოციქულოდან – აპრაკოსები“, ძველი აღთქმიდან – „საწინასწარმეტყველო“ – „პროფიტოლოგიონი“, „ლექციონარები“, „ლოცვანი“, „კურთხევანი“ და ა.შ. გვ. 16-35).

ნარკვევში დახასიათებულია თითოეული ლიტურგიკული კრებული, წარმოდგენილია ძირითად ლიტურგიკულ ტერმინთა ჩამონათვალი კომენტარებით (გვ. 35-90).

62. ნათარგმნი ჰიმნოგრაფია (ნარკვევი) წიგნში: „ქართული ნათარგმნი ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 2011 (გვ. 245-273); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 62-82).

ნარკვევში წარმოდგენილია ნათარგმნი ჰიმნოგრაფიის ორი ნაწილი: 1. ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია, რომელიც ქრისტიანული დგთისმსახურების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია (გვ. 245-250) და 2. არალიტურგიკული, ანუ პოეზია, რომელშიც გამოხატულია მორწმუნე ავტორის პირადი დამოკიდებულება დღესასწაულებისადმი, ისტორიული ფაქტებისა და საკუთარი სულიერი განცდებისადმი, ამიტომ ასეთ პოეზიას სამოძღვრო-მოთხრობათა პოეზიას უწოდებენ (გვ. 250-252). აგრეთვე განხილულია ყველა ჰიმნოგრაფიული კრებული (იადგარი, ძლისპირი, პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკი, თენი და სხვ. (გვ. 252-260); ბოლოს კი ერთვის ჰიმნოგრაფიულ ტერმინთა ჩამონათვალი, ვრცელი განმარტებებით (გვ. 260-273).

2012

63. ნათარგმნი დოგმატიკა-პოლემიკა (ნარკვევი) წიგნში: „ქართული ნათარგმნი კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 2012 (გვ. 151-186).

ნარკვევში მიმოხილულია ნათარგმნი დოგმატური და პოლემიკური მწერლობის ძირითადი თხზულებები, პირველ რიგში „დოგმატიკონი“, რომელიც არსენ იყალთოელმა თარგმნა და რომელშიც თავმოყრილია დოგმატური და პოლემიკური თხზულებების უდიდესი ნაწილი. წარმოდგენილია მწვალებლობები, ვისთანაც მართლმადიდებლურ ეკლესიას უხდებოდა მწვავე პოლემიკა ქრისტიანული დოგმების დასაცავად. განხილულია ძირითადი დოგმები, რომლებიც გამომდინარეობენ სამების უმთავრესი დოგმიდან. საუბარია მსოფლიო საეკლესიო კრებათა დოგმატიკურ საქმიანობაზე. ბოლოს, მოკლედ დახასიათებულია ეკლესიის წმ. მამათა დოგმატურ-პოლემიკური ღვაწლი და მათი თხზულებების მნიშვნელობა.

64. ნათარგმნი კანონიკა (ნარკვევი) წიგნში: „ქართული ნათარგმნი კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 2012 (გვ.7-79).

ნარკვევში წარმოდგენილია ნათარგმნი კანონიკურ კრებულთა ჩამოყალიბების გრძელი და ურთულესი გზა, დაწყებული პირველი ბიზანტიური კანონიკური კრებულთა (IV ს.), დამთავრებული ბიზანტიური ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსის ჩამოყალიბებით (IX ს.). საუბარია იმაზე, თუ როგორ გახდა 883 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბებული ე.წ. პატრიარქ ფოტის რედაქციის თოთხმეტ ტიტლოვანი (ნაწილიანი)

ნომოკანონი არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯულისკანონის“ წყარო, ხოლო არსენის თარგმანი – ქართული ეკლესიის სახელმძღვანელო კანონიკურ სამართალში. ნარკვევში წარმოდგენილია კანონიკური სამართლის ძირითადი წყაროები: მოციქულთა, მსოფლიო საეკლესიო, ადგილობრივ საეკლესიო და ეკლესიის წმ. მამათა კანონშემოქმედება, ასევე, მიმოხილულია სხვა ნათარგმნი კანონიკური ძეგლები („მცირე სჯულისკანონი“ და სხვ.).

IV. სამეცნიერო წერილები

1982

65. ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე.წ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე (ელს), 4, 1982, გვ. 61-67; აგრეთვე, ე. გაბიძაშვილი, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 83-89).

წერილში ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე, ავტორი ამტკიცებს, რომ ასურელი მამების მოკლე კიმენური რედაქციის „ცხოვრებები“ – იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის „ცხოვრებანი“ და აბიბოს ნეკრესელის შედარებით გვიანდელი, გავრცობილი „წამება“ ერთი მთლიანი თხზულებაა, რომელსაც ეწოდება „იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრება“. შექმნილი უნდა იყოს X ს. შუა წლებში ქართლის კათალიკოსის არსენ II-ის მიერ.

1988

66. ერთი მაზდეანური ტრადიციის კვალი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის რამდენიმე ძეგლში, კრებული საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობისა და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბილისი, 1988, გვ. 127-132; აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 253-257).

წერილში ავტორი ასაბუთებს, რომ საქართველოში მაზდეან ირანელების ბატონობის პერიოდის ამსახველ რამდენიმე მარტიროლოგიურ თხზულებაში აღწერილი წამებულთა გვამების „მკვცთა და მფრინველთა“

შესაჭმელად გადაგდების შემთხვევები გადმოგვცემს არა მარტო დამპყრობელთა სისასტიკეს წამებულ ქრისტიანთა მიმართ, არამედ ასახავს მიცვალებულის დასაფლავების მაზდეანური სარწმუნოების წესს. ასეთი დასკვნა გამოტანილია „ევესტათი მცხეთელის წამების“, „აბიბოს ნეკრესელის წამების“ და „რაჟდენ პირველმოწამის წამების“ ტექსტების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე ეპიფანე კვიპრელის (IV ს.) ქართულად თარგმნილი „ცხოვრების“ ერთი ეპიზოდის მიხედვით, რომელშიც გადმოცემულია ირანელი მთავრის ძის დასაფლავების წესი. ამას ადასტურებს ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელიც (დაახლ. 507-562 წწ.; გეორგიკა, ტ. II, გვ. 44).

1989

67. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, მიძღვნილი დავით აღმაშენებლის საიუბილეო თარიღისათვის, №1, 1989, გვ. 58-61; აგრეთვე, შრომები III, თბილისი, 2011 (გვ. 234-241).

საიუბილეო წერილში ამოკრებილია ძირითადი მონაცემები წიგნიდან „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერა“, თბილისი, 1978 (200 გვ.) და მოცემულია „ძეგლისწერის“ ყველა (19) კანონის ტექსტის პერიფრაზი.

1997

68. ახალი ცნობები ბიზანტიური და ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ისტორიისათვის, ხ.ი. ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბილისი, 1997 (გვ. 50-57); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 182-185).

ნაშრომში ანოტირებული სახით დახასიათებულია

სამი უნიკალური ქართული თარგმანი: 1. პავლე კორინთელის „ცხოვრება“, რომლის სრული ტექსტი მხოლოდ ქართული თარგმანით არსებობს (ქუთ. 1), 2. წმ. საბინეს „წამება“, რომლის ქართულ თარგმანს ე. გაბიძაშვილმა მიაკვლია ქუთ. 2, XVI საუკუნის ხელნაწერში (მისი თავნაკლული ტექსტი მიბმული იყო სხვა ბოლონაკლულ ტექსტთან და მის ნაწილად იყო აღქმული), 3. თეოდორე ტირონის „წამების“ ტექსტის ქართული თარგმანი (გიორგი მთაწმიდელისა), რომელიც მიჩნეული იყო სვიმეონ ლოლოთეცის შრომად, ე. გაბიძაშვილის კვლევის შედეგად აღმოჩნდა ნიკიფორე ურანოსის – სვიმეონის მეგობრის თხზულებად.

1999

69. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ირგვლივ, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, II, თბილისი, 1999 (გვ. 91-99); აგრეთვე, ე. გაბიძაშვილი, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 258-264).

წერილში განხილულია ევსტათი მცხეთელის „მარტვილობის“ ორი ეპიზოდი, რომელთა შინაარსის ამოკითხვაში შეცდომებია დაშვებული. პირველი ეხება ქორწინების საკითხს: აკად. კ. კეკელიძის მიხედვით „...აქ დასახლების (იგულისხმება მცხეთა) შემდეგ ის (ევსტათი) სწავლობს „მესამეობას“, შეისწავლა ის და მერე შეირთო ცოლი, ეყოლა შვილები ... უფრო გულმოდგინედ სწავლობდა ქრისტიანობას და ქრისტიანთა ზნე-ჩვეულებებს და ბოლოს მოინათლა“ (ქართ. ლიტ. ისტ., 1, გვ. 510). ამ დებულების საწინააღმდეგოდ სტატიაში მოტანილია მრავალი ამონაწერი საეკლესიო სამართლის ძეგლებიდან, რომ

ზემოთ აღწერილ ქმედებათა თანმიმდევრობა დაუშვებელია.

სინამდვილეში, მხოლოდ პირიქით შეიძლება მომხდარიყო: ევსტათი ჯერ მოინათლა და შემდეგ იქორწინა ქრისტიან ქალზე.

მეორე ეხება აკად. ივ. ჯავახიშვილის დებულებას: „მონა-მხევლების ყოლა, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, არამცთუ დიდ აზნაურს, არამედ VI საუკუნის უბრალო ხელოსანსაც მონა-მხევლები ჰყოლია“ (ქართ. ერის ისტორია, I, 1979, გვ. 321). თუმცა საინტერესოა, რა გზით მოახერხა სპარსეთიდან უცხო ქვეყანაში მოსულმა მეწადემ, ისიც მცხეთაში ნასწავლი ხელობით მონა-მხევლების შექმნა სულ რაღაც 2-3 წლის განმავლობაში? ამ ფაქტს სულ უბრალო ახსნა მოეპოვება – ევსტათი ზედსიძედ შევიდა მდიდარ ოჯახში და რადგან ოჯახის თავი გარდაცლილი იყო (ის არ იხსენიება იმ ეპიზოდში, როდესაც ევსტათი ემშვიდობება ცოლ-შვილს, სიდედრს და მონა-მხევლებს), ის გახდა მისი მონა-მხევლების პატრონი.

70. ერთი უნიკალური ხელნაწერი წიგნის შესახებ, აღმანახი „მწიგნობარი“ 96, თბილისი, 1999 (გვ. 74-81); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 189-194).

ნაშრომი ეხება ქუთ. I, XI ს. ხელნაწერს, რომელშიც მექანიკურად არის აკინძული ორი სრულიად დამოუკიდებელი ხელნაწერი კრებული: თებერვლის თვის ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული და აგვისტოს თვის იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასულ თხზულებათა კრებული. სტატიაში განხილულია პირველი მათგანის შედგენილობის საინტერესო საკითხი, ამ კრებულში, თავის მხრივ, ორი კრებულის არსებობის ფაქტი, ორივე მათგანის შედგენის

პრინციპები. აქვე მოცემულია თითოეული მათგანის შედგენილობა და შენიშნულია, რომ ამ კრებულში შემორჩენილია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ჰაგიოგრაფიული ძეგლის ქართული თარგმანი (პორფირი დახელის ვრცელი „ცხოვრება“) და ჰომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული თხზულება (იოანე ოქროპირის მელეტი ანტიოქიელის „შესხმა“), რომლებიც მხოლოდ ამ უნიკალური ხელნაწერით (ქუთ. 1-ის I ნაწილი) არიან ცნობილნი. მხოლოდ ამ ხელნაწერშია პავლე კორინთელის ვრცელი „ცხოვრება“, რომლის დედანი, ბერძნული ტექსტის მხოლოდ 10 სტრიქონია შემორჩენილი (P ar is, 1452, X). მხოლოდ ამ კრებულშია წმინდანთა წამება-ცხოვრებათა სპეციფიკური დარგის „ეპიტომათა“, ე.ი. ვრცელი თხზულებების სპეციფიკური საჭიროებისათვის შექმნილი 10 ტექსტი (3 ასეთი ტექსტი არის მარტის თვის კრებულში – ქუთ. 2). კრებულში კიდევ არის რამდენიმე „წამების“ ვრცელი ტექსტი, რომლებიც სხვა ხელნაწერებში აღარ გვხვდება.

71. კორნელი კეკელიძე და ქართული კანონიკური მწერლობის საკითხები, კრ. კორნელი კეკელიძე 120, თბილისი, 1999, გვ. 40-46; აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 270-273).

წერილში მიმოხილულია კორნელი კეკელიძის ღვაწლი კანონიკური მწერლობის სფეროში, განხილულია და შეფასებულია მისი შრომები ამ დარგში, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მომდევნო ხანის გამოკვლევებს.

2000

72. IV-VIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა პარადოქსული ბედი, აღმანახი „მწიგნობარი“,

თბილისი, 2000 (გვ. 125-135); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 195-206). პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, №21, 27 იანვარი, 2001, სათაურით: რატომ ვერ მოაღწია ჩვენამდე IV-VIII სს. ხელნაწერებმა?

წერილში მიმოხილულია წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელშიც ხელნაწერების დადუპკას სხვადასხვა მიზეზებით ხსნიდნენ და სამართლიანად ასახელებდნენ სტიქიურ უბედურებებს, მუსლიმ დამპყრობელთაგან ხელნაწერების დაწვას, განადგურებას და სხვა ნადავლთან ერთად მათ გატანას ქვეყნიდან, ხელნაწერთა ეტრატის (ტყავის) ფურცლების საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საჭიროებისათვის გამოყენების შემთხვევებს და სხვ. (აქვე უნდა აღინიშნოს, გასაბჭოების პერიოდში, დასაწყისში ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანილი ხელნაწერების განადგურების ფაქტები). რა თქმა უნდა, აღწერილმა მოვლენებმა ქართული ხელნაწერების რაოდენობა საგრძნობლად შეამცირა, მაგრამ მაინც ეს ეხებოდა ხელნაწერთა ცალკეულ კოლექციებს და ერთეულ ხელნაწერებს. მაგრამ ჩვენამდე არ შემორჩა IV-VIII საუკუნეების არც ერთი ხელნაწერი. V-VI საუკუნეების პალიმფსესტები (პირველი ნაწერის ამოფხეკა-გადაშლის შემდეგ ხელმეორედ გამოყენებული ეტრატი) ხელნაწერად ვერ ჩაითვლება, რადგან ის არის ცალკეული ფურცლები ყოფილი ხელნაწერისა.

IV-VIII სს. ხელნაწერთა გლობალური განადგურება, როგორც ეს ნაჩვენებია წერილში, გამოიწვია ქართული ენის რეფორმამ, როდესაც ენიდან ამოიღეს ზმნის პირის აღმნიშვნელი „ხ“ და ყველა „ხანმეტი“ ხელნაწერი საკითხავად უვარგისი აღმოჩნდა და ეტრა-

ტის ფურცლები სხვადასხვა საჭიროებისათვის გამოიყენეს. დიდი ზომის ეტრატის ხელნაწერები დაშალეს, ნაწერი ამოფხიკეს და საწერად გამოიყენეს (ასე მივიღეთ პალიმფსესტი). გადარჩა მხოლოდ ერთი ხელნაწერი VII საუკუნისა, რომელიც დღეს ავსტრიის ქ. გრაცის ბიბლიოთეკაშია დაცული, რადგან ის მცირე ფორმატისა იყო და მის ფურცლებს დანიშნულება ვერ უპოვეს.

2001

73. ქართული პაგიოლოგიის ისტორიიდან, აღმანახი, „მწიგნობარი“, თბილისი, 2001 (გვ. 166-176); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 274-280).

წერილში აღწერილია თევდორე მღვდლის გმირობა და მოწამებრივი სიკვდილი, როგორც ეს წარმოდგენილია მხატვრულ თხზულებაში „დიდმოურავიანი“ და ზოგიერთ საისტორიო წყაროში. ზუსტად ასეა აღწერილი ეს ისტორიული ფაქტი პაგიოგრაფიულ თხზულებაში – ბესარიონ კათალიკოსის ლუარსაბ მეფის „წამებაში“, ოღონდ აქ მოწამეს სვიმეონ ხუცესი ეწოდება. ეჭვი არ არის, რომ თევდორე მღვდლისა და სვიმეონ ხუცესის მოწამებრივი გმირობა ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტს უკავშირდება, ე.ი. ფიგურირებს ერთი და იგივე პირი. სხვადასხვა წყაროში ამ პირის ორი სახელით მოხსენიების გამო ავტორი ვარაუდობს, რომ ერთი საერო სახელია, მეორე კი – სასულიერო.

2003

74. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ხ.ი. მრავალთავი, XX, 2003 (გვ. 355-358); აგრეთვე, შრომები,

III, თბილისი, 2011 (გვ. 212-216).

ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს ლექსიკონის შესავალს, საუბარია საქართველოს ენციკლოპედიური ლექსიკონის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით, რომელიც მოამზადეს ე. გაბიაშვილმა (ხელმძღვანელი), ა. ლაბაშიძემ და მ. მამაცაშვილმა. აღწერილია, თუ რა შინაარსის მასალებია შეტანილი ლექსიკონში, რომელიც მოიცავს 1114 გვერდს და ხელნაწერებისა და მონასტრების 64 ფერად ფოტოს. აქ წარმოდგენილია ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი.

75. „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ (საქართველოს ეკლესიის კალენდრის შესახებ), გაზეთი „ჩვენი მწერლობა“ (გაზეთ „ეპოქის“ დამატება), 16-22, V, 2003 წ.; აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 242-252).

წერილში გამოვლენილია საეკლესიო კალენდარში წლების განმავლობაში დამკვიდრებული შეცდომები, წყაროებით დადასტურებულია მათი უზუსტობანი და შეთავაზებულია მათ გასასწორებლად ფორმულირებები.

2005

76. კანონიკური მწერლობის საკითხები ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, IV, თბილისი, 2005 (გვ. 58-65); აგრეთვე, ე. გაბიაშვილი, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 265-269).

სტატიაში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის ძირითადი შრომების შეფასება ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის საქმეში; მეცნიერის როლი კანონიკური და სამოქალაქო სამართლის ტერმინო-

ლოგის ჩამოყალიბებასთან მიმართებით, კანონიკური სამართლის წყაროების მოძიებისა და ცალკეული კანონიკური ძეგლის შესწავლაში შეტანილი მისი უდიდესი წვლილი.

2007

77. ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი თარგმანის ირგვლივ შექმნილი გაუგებრობის გამო, ხ.ი. მრავალთავი, XXII, 2007 (გვ. 93-96); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 186-188).

წერილში გარკვეულია, რომ ეფთვიმე მთაწმიდელმა თარგმნა არა ათანასე მთაწმიდელის (ლავრელის – +1001წ.) „ცხოვრება“, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მიხნეული, არამედ ათანასე დიდის, ალექსანდრიელის (+373წ.) „ცხოვრება“, რომ ათანასე მთაწმიდელის „ცხოვრება“ კი ქართულად არასოდეს ყოფილა თარგმნილი.

2009

78. IX საუკუნის უცნობი მთარგმნელის ერთი ინიციატივის გამო, ხ.ი. მრავალთავი, 2009 (გვ. 60-67); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 202-211).

წერილში გამოვლენილია საინტერესო ფაქტი: იოანე ოქროპირის „ცხოვრების“ ქართულად თარგმნილ თხზულებაში, რომელიც IX ს. თარიღდება, სიტყვასიტყვით არის გადმოწერილი ხელნაწერის გვერდნახევარი ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების“ ქართული თარგმანიდან, რომელიც 982 წლის სინურ ხელნაწერში (Si n. 6) არის შეტანილი. ამ ორი ხელნაწერის საერთო ტექსტი შეიცავს ეპიფანეს ბიზანტიის დედოფალ ევდუქსიასთან აუდიენციას და დიალოგს იოანე ოქროპირის პატრიარქობიდან გადაყენების თაობაზე. როგორც ჩანს, იოანე ოქროპირის

„ცხოვრების“ ქართველმა მთარგმნელმა ის გადმოიწერა უკვე თარგმნილი ეპიფანეს „ცხოვრების“ ტექსტიდან, რადგან აღნიშნული ეპიზოდი უფრო ვრცლად და საინტერესოდ იყო აღწერილი ეპიფანეს „ცხოვრებაში“.

79. პორფირი ღაზელის ცხოვრება (წინასწარი ცნობები), საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, VI, თბილისი, 2009 (გვ. 56-68); აგრეთვე, ე. გაბიაშვილი, შრომები, III, თბილისი, 2011 (228-233).

სტატიაში საუბარია ბერძნულიდან დაახლ. X-XI სს. თარგმნილი თხზულების პორფირი ღაზის ეპოსკოპოსის ძალზე საინტერესო და ვრცელი „ცხოვრების“ შესახებ, რომლის შემცველი ერთადერთი ხელნაწერი XVI საუკუნისაა (ქუთ.1). წერილში გადმოცემულია ძირითადი დებულებები თხზულების ბერძნული დედანის ანალიზთან ერთად.

2010

80. „დიდი სჯულისკანონის კვალი რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“, კრებული, მიძღვნილი ზაზა ალექსიძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი, თბილისი, 2010 (გვ.186-199); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 285-298).

წერილში გარკვეულია, რომ რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ შედგენილია „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანის ტექსტისა და კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამ დებულების დასამტკიცებლად ჩატარებულია ტექსტოლოგიური კვლევა და უარყოფილია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ „დიდი სჯულისკანონი“ თარგმნილია რუის-ურბნისის კრების მოწვევის შემდეგ.

81. რამდენიმე ტექსტოლოგიური შენიშვნა, კრებული მიძღვნილი გურამ კარტოზიას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი, თბილისი, 2010. აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 281-284).

ნაშრომში საუბარია ხელნაწერისეულ წაკითხვებში ტექსტის გამომცემლების ჩარევების ანუ თვითნებური ცვლილებების შეტანის დაუშვებლობაზე. მითითებულია ფილოლოგების მიერ დაშვებული უზუსტობების შესახებ (რაც ზოგჯერ გამოწვეული იყო კომუნისტური ცენზურის თვალის ასახვევად – „სამოთხის“ ნაცვლად „ლიმონარის“ (ბერძ.) ხმარება, „ტიმოთე საკვირველთმოქმედის“ ნაცვლად „ტიმოთე ანტიოქიელი“ და სხვ.).

2014

82. „დიდი სჯულისკანონის“ ხელნაწერები და თხზულების თარგმნის დრო, ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, IX, თბილისი, 2014.

წერილში მიმოხილულია ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის შემცველი უძველესი ხელნაწერები და გამოყოფილია სამი ჯგუფი. პირველში შესულია არსენ იყალთოელის თავმანის ტექსტი, ხოლო ორ დანარჩენში – შედარებით გვიანდელი ჩანამატებები.

ძეგლის უძველეს ხელნაწერად მიხნეული იყო A-124, თუმცა თარიღად, ვარაუდით XI ს. ითვლებოდა. ხელნაწერის არა ძირითად ნაწილში (დამატებით სტატიებში) ე. ჭელიძის მიერ გამოვლენილმა მინაწერმა დაადასტურა ე. გაბიძაშვილის ვარაუდი და კიდევ უფრო დააკონკრეტა, რომ ხელნაწერი გადაწერილია XI ს. 80-იან წლებში.

V. საენციკლოპედიო სტატიები და რეცენზიები, რელაქტორობით დაბეჭდილი ნაშრომები

83-137. სტატიები „Православная энциклопедия“-ში საქართველოს ეკლესიისა და ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ავტორთა და თხზულებათა შესახებ (55 სტატია 2-26 ტომებში); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 365-431 – 47 სტატია).

138-211. სტატიები იტალიურ *‘Enciclopedia dei Santi (Lecheise Orientali)’, Gtt a nuova, Roma, I, 1991; II, 1992.* საქართველოს საეკლესიო კალენდარში შეტანილი ქართველ წმინდანთა შესახებ (74 მცირე სტატია); აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 432-467).

212. სტატია: *Arsen of Ikalto, Christian-Muslim Relations (CMR), AB in iographic History, Volume 3 Brill, Leiden, 2011 (378-381);* აგრეთვე, შრომები, III, თბილისი, 2011 (გვ. 468-470).

213-222. საენციკლოპედიო სტატიები – „ქართული საბჭოთა ენიკლოპედია“, „ქართული ენციკლოპედია“, ენციკლოპედია „ქართული ენა“.

223-234. რეცენზიები (პუბლიკაციებზე, სადისერტაციო შრომებზე, საექსპერტო დასკვნები და ა.შ.) (12).

235-249. მოხსენებათა თეზისები (15).

250-251. საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატები (2).

252. აღსანიშნავია ისიც, რომ თავისი მასწავლებლის – ილია აბულაძისადმი მიძღვნილ მოგონებების კრებულში ე. გაბიძაშვილმა დაბეჭდა მოგონება „ჩემი დიდი მასწავლებელი“. იგი თანამშრომლობს სა-

ქართველოს სასულიერო აკადემიის და სემინარიის გაზეთში „კლიტე დავითისა“ და ბეჭდავს სტატიებს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის თემებზე. მისი ორი ინტერვიუ დაიბეჭდა მართლმადიდებლურ ჟურნალში „კარიბჭე“ №25, 2006წ. XII, გვ. 47-49 და ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, №13, 29.VI. 2012წ. გვ. 34-37.

253. ენციკლოპედია „ქართული ხელნაწერი“ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო გრანტით შესრულებული პროექტი: ძველი ქართული ხელნაწერი-ენციკლოპედია, ონლაინ: ენრიკო გაბიძაშვილის მიერ შესრულებული ნაწილი: ძველი ქართული ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობის დარგების – ჰაგიოგრაფიის, ბიბლიოლოგიის, ეგზეგეტიკის, აპოკრიფების, ასკეტიკა და მისტიკის, ჰომილეტიკის, კანონიკის, დოგმატიკისა და პოლემიკის ცალკეული თხზულებები და მათი შემცველი კრებულები, ტერმინოლოგია, ხელნაწერები, თხზულებათა ავტორები, მთარგმნელები – სულ დაახ. 600-მდე მცირე და საშუალო ზომის სტატია. ანბანური თანმიმდევრობით წარმოვადგენთ ამ სტატიების სათაურებს:

ა

აბაკუმის წინასწარმეტყველების წიგნი
აბდიას წინასწარმეტყველების წიგნი
აბიბოს ნეკრესელის წამება
აბო თბილელის წამება
აბრაჰამ ამონა მონაზონის (ეგვიპტელის) „სწავლანი“
აბრაჰამ მონაზონის „თქუმული“
აგათანგელე დამასკელის „წამება“
ადამის და ევას გამოსვლა სამოთხიდან
ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონმდებლობა
ავგაროზ ედესის მთავრის წერილი იესო ქრისტეს

მიმართ

ათანასე ალექსანდრიელის (+373 წ.) საეკლესიო კანონები

ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრება

ათენაგენე სებასტიელის წამება

ათენის სინტაგმა

ათთა ბევრთა წამება

ათი მცნების განმარტება

ათორმეტთა თავთაჲ განმარტება

ათორმეტთა მათ თუალთათუს

ალექსი ღვთისკაცის „ცხოვრება“

ამოსის წინასწარმეტყველების წიგნი

ამფილოქე იკონიელის (+395 წ.) საეკლესიო კანონი ანათემა

ანათემა (ბერძ.)

ანაქორეტები

ანაქორეტი (ბერძნ.)

ანბანური პატერიკი

ანგიას წინასწარმეტყველების წიგნი

ანდერძი

ანდრია კრიტელის „თქუმული ამოლებისათუს კაცობრივთა საქმეთა და შესუენებულთათუს“

ანდრია მოციქულის აქტების ქართული თარგმანები

ანდრია სალოსის „ცხოვრება“

ანკვირიის ადგილობრივი საეკლესიო კრება

ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრება

ანტონ დიდის „ცხოვრება“

ანტონ მარტომყოფელის „ცხოვრება“

აპოთეგმატა (აპოფთეგმატა)

აპოთეგმატა (აპოფთეგმატა)

აპოკრიფები მოციქულთა ღვაწლისა და სახარებათა

შესახებ

აპოკრიფი

აპოკრიფი, აპოკრიფული ლიტერატურა
აპოკრიფულ თხზულებათა ეფთვიმე მთაწმიდელი-
სეული ინდექსი
აპოკრიფული აპოკალიფსები
აპოკრიფული ასტროლოგიური თხზულებები
აპოკრიფული ბიბლიოგრაფია
აპოკრიფული ეპისტოლეები
აპოკრიფული კრებული „მარგალიტი“
აპოკრიფული სახარებები
აპოკრიფული ჰაგიოგრაფია
აპოლინარიზმი
აპოლოგია
არეს, პრომოსა და ელიას „წამება“
არიანელობა
არქიმანდრიტი (ბერძ.)
არჩილ მეფის „წამება“
არჩილის მეტაფრასული „წამება“
ასკეტიზმი
ასკეტიკა
ასკეტიკონი
ასურელი (სირიელი) მამები საქართველოში
აფორიზმი
აღმდგომისათვის უფლისა
აღსარება
აღსარება კეთილთა საქმეთა წინააღმდგომად ცოდ-
ვისათა
აღსარებად თევდოსი ჰურიათა მთაერისად
აღსასრულისათვის...
აღსრულებად წმიდისა დიდისა მოსე წინასწარ-
მეტყუელისა
ახალი აღთქმა
ახალი აღთქმის შედგენილობა

ბ

- ბაგრატ ტავრომენიელის „ცხოვრება“
- ბარბარას „წამება“
- ბარუქის ბიბლიური წიგნი
- ბასილი დიდის (+379 წ.) საეკლესიო კანონები
- ბასილი დიდის „ცხოვრება“
- ბასილი ჰამელ ეპისკოპოსის „წამება“
- ბასილიკები
- ბაქარის ბიბლია
- ბერძნული კანონები
- ბიბლია (ბერძ. „წიგნები“)
- ბიბლიის ძველი აღთქმის ცალკეული წიგნების შემცველი ხელნაწერები და ხელნაწერების ფრაგმენტები
- ბიბლიოლოგია
- ბიბლიური კანონი
- ბიბლიური წიგნები
- ბიძინა, შალვა და ელიზბარის „წამება“
- ბოას „წამება“
- ბჭობა

ბ

- გალატელთა მიმართ ეპისტოლე
- გამოკრებულნი საღაღთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი
- გამოსღვათა
- გამოჩინებისათჳს მელქისედეკისა
- გამოცხადება (აპოკალიფსი) იოანე ღვთისმეტყველისა
- გამოცხადების (აპოკალიფსის) განმარტება
- გამოძიება
- განბჭობა
- განდეგილი

განდევნილობა
 განკანონება
 განკანონებული და არაგანკანონებული ბიბლიური
 წიგნები
 განკვეთა
 განკითხვა
 განსარტყელება
 განსატყვებელი წიგნი (ეპისტოლე)
 განსაუღლებელი
 განსჯა
 განუღლება
 განყენება ზიარებისაგან
 განყენება უამისწირვისაგან
 განხდა
 გარეჯელ მონაზონთა წამება
 გაჩინება
 გაწურთნა
 გენადი კონსტანტინოპოლელის (+571 წ.) საეკლესიო
 კანონები
 გიორგი კაპადუკიელის „წამება“
 გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება
 გნომური სწავლანი
 გობრონის წამება
 გრიგოლ დიდის – რომაელი პაპის „ცხოვრება“
 გრიგოლ დიდის, რიფსიმეს და გაიანეს წამება
 გრიგოლ ნაზიანზელის (ღვთისმეტყველის) „ცხოვრე-
 ბა“
 გრიგოლ ნეოკესარიელის (+270 წ.) საეკლესიო
 კანონები
 გრიგოლ ნეოკესარიელის „ცხოვრება“
 გრიგოლ ნოსელის (+395 წ.) საეკლესიო კანონები
 გრიგოლ პართელის „ცხოვრება“
 გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელი, +390 წ.)

საეკლესიო კანონი
გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება
გრიგოლი რომაელის „დიאלოგონი“

რ

დაბადება
დაბადების (შესაქმე) წიგნის განმარტებანი
დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისა-
თვის

დაბეჭდული და დაუბეჭდველი ბიბლიური წიგნები
დავით გარეჯელის ცხოვრება
დავით და კოსტანტინეს „წამება“
დავით და ტირიჭანის „წამება“
დამსჯელობა
დანიელ მესვეტის „ცხოვრება“
დანიელის წინასწარმეტყველების წიგნი
დასამტკიცებელი ეპისტოლე
დასამშვიდებელი ეპისტოლე
დაფარული
დაფარული (აპოკრიფული) ბიბლიური ლიტერატუ-
რა

დაყენებულთა და უჯეროთა ქორწინება-მზახლო-
ბისათუს და განგდებულთა
დაყენებული ქორწინება
დაყუდება
დაცადება
დაცხრომა მღვდელობისაგან
დემეტრე (დიმიტრი) თესალონიკელის „წამება“
დიგესტონი ანუ დიგესტები
დიდი სჯულისკანონი
დიდსა პარასკევსა საკითხავი ვნებისათუს
დიონისე ათენელ ეპისკოპოსის „ცხოვრება“
დიონისე ალექსანდრიელის (+264 წ.) საეკლესიო

კანონები

დიონისე არეოპაგელის თხზულებების განმარტებები

დიოფიზიტობა

დოგმა

დოგმატები ქრისტიანული სარწმუნოებისა

დოგმატიკა

დროსის (ანუსიას) წამება

ე

ებრაელთა მიმართ ეპისტოლე

ეგზეგეტიკა

ეგზეგეტიკურ თხზულებათა და განმარტებათა ავტორები

ეგზეგეტიკურ თხზულებათა ქართველი მთარგმნელები

ეგნატე ანტიოქელის „წამება“

ენომიანიზმი

ეესტათი მცხეთელის „მარტვილობა“

ევეტიქიანელობა

ეზეკიელის წინასწარმეტყველების წიგნი

ეზრა ზორაბაბელის წიგნი (ეზრა I)

ეზრა სუთიელის წიგნი (ანუ აპოკალიფსი)

ეზრას და ნემიას წიგნები

ეკატერინეს „წამება“

ეკლესიასტე

ეკლესიასტეს განმარტება

ელიანოსის „წამება“

ენკომია

ეპისკოპოსთა მიმართ

ეპისტოლე

ეპისტოლე 1263 წლის საეკლესიო კრებისა დავით ულუსაძმი

ეპიტაფია
ეპიტიმია
ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრება“
ერესი
ერთარსება
ერთბუნება
ესაიას წინასწარმეტყველების წიგნი
ესთერის წიგნი
ესქატოლოგია
ეფესელთა მიმართ ეპისტოლე
ეფესოს კრების აქტები
ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება
ეფთვიმე პალესტინელის „ცხოვრება“
ეფთვიმესა და იოვანე მთაწმიდელების „ცხოვრება“
ეფრემ ასურის „ცხოვრება“
ექსორია
ექუსთა დღეთათჳს

ჰ

ჰედრება

ზ

ზაქარიას წინასწარმეტყველების წიგნი
ზოროასტრიზმი

თ

თავითი განპატიუება
თანაგამზრახობა
თარგმანება
თარგმანებაი
თეკლა მოციქულთა სწორის „წამება“
თეოდორე ევხატელის „წამება
თეოდორე სტუდიელის „ცხოვრება“

თეოდორიტე კვირელის (+458 წ.) „ფილოთეონ ისტორია“

თეოლოგია

თეოფილე ალექსანდრიელის (+412 წ.) საეკლესიო კანონები

თესალონიკელთა მიმართ I და II ეპისტოლე
თომა მოციქულის აქტები

თორა

თქუმული

თქუმული მამამთავართა სახარებისაგან სულისა
წმიდისა მიერ მათე და ლუკადსგან
თხრობანი წმიდათა მამათანი

ი

იავარ-ქმნა კერძობით

იავარ-ქმნა სრულებით

იაკობ მოციქულის აქტები

იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლე

იაკობიტობა

იერემია წინასწარმეტყველის ეპისტოლე

იერემიას გოდება

იერემიას წინასწარმეტყველების წიგნი

იესო ქრისტეს განკაცება

ივლითის წიგნი

ივლიანე ემეწელის „წამება“

ითიკა

იკონომოსი

ილარიონ პალესტინელის „ცხოვრება“

ილარიონ ქართველის ცხოვრება

ინსტიტუციონი

იოანე დამასკელის „ცხოვრება“

იოანე მახარებლისა და ღვთისმეტყველის აქტების
ქართული თარგმანები

იოანე მოსხის „სამოთხე“ ანუ „ლიმონარი“
იოანე ოქროპირის „ცხოვრება“
იოანე სინელის „ცხოვრება“
იოანე ღვთისმეტყველის სამი კათოლიკე ეპისტოლე
იოანეს სახარება
იოანეს სახარების განმარტება
იოანეს სახარების განმარტება II
იობის წიგნი
იოვანე ზედაზნელის „ცხოვრება“
იოველის წინასწარმეტყველების წიგნი
იონას წინასწარმეტყველების წიგნი
იოსებ ალავერდელის ცხოვრება
ისაკისა და იოსების „წამება“
ისე წილკნელის ცხოვრება
ისო ზირაქის სიბრძნის წიგნი
ისუ ნავეს წიგნი
იუდა მოციქულის საყოველთაო ეპისტოლე

კ

კათოლიკე ანუ საყოველთაო ეპისტოლეები
კათოლიკე ეპისტოლეთა განმარტებები
კანონიკური და არაკანონიკური ბიბლიური წიგნები
კანონიკური კრებულები
კანონიკური სამართლის ზოგადი და კონკრეტული
წყაროები
კართაგენის კრება, ანუ აფრიკული ეკლესიის კანონ-
თა კოდექსი
კართაგენის კრების საეკლესიო კანონთა (რამდე-
ნიმე) განმარტებანი
კატენები
კატენები (ეგ ზეგეტიკური)
კატეხიზმო
კატეხიზმო (კატეხიზისი) (ბერძ.)

კაცისა შესაქმისათჳს (განმარტება)
კერპთაყვანისმცემლობა
კვირიკესა და ივლიტას „წამება“
კიდისკიდე და არა ერთგან კურთხევაჲ გვრგუნისაჲ
კითხვა-მიგებაჲ იესუსი და განრღუეულისაჲ
კითხვანი იოანე ოქროპირისა
კითხვანი მონაზონისა ვისიმე, რომელთა აცხნა გა-
მოსცა პეტრე პატრიარქმან ხარტოფილაქსმან
კიმენი
კიმენური ჰაგიოგრაფია
კირილე ალექსანდრიელის (+444 წ.) საეკლესიო
კანონები
კლიტე
კოდიკი
კოდიკო (კოდექსი)
კოლაელ ერმათა „წამება“
კოლასელთა მიმართ ეპისტოლე
კონსტანტი ქართველის (კახის) „წამება“
კონსტანტინოპოლის 394 წლის ადგილობრივი კრება
კონსტანტინოპოლის 879 წლის კრება
კონსტანტინოპოლის ე.წ. „პირველ-მეორე“ კრება
კონსტანტინოპოლის მეექვსე მსოფლიო საეკლესიო
კრება
კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო
კრება
კონსტანტინოპოლის მესამე მსოფლიო საეკლესიო
კრება
კორინთელთა მიმართ I და II ეპისტოლე

ზ

ლაოდეკიის ადგილობრივი საეკლესიო კრება
ლევიტელთა
ლევიტელთა წიგნის განმარტებანი

ლივილიონი (ლიბალლუს)
ლოგიები ანუ აგრაფები
ლუარსაბ მეფის „წამება“
ლუკა იერუსალიმელის წამება
ლუკას სახარება
ლუკას სახარების განმარტება
ლუკიანოსის „წამება“

მ

მაზდეანობა
მათეს სახარება
მათეს სახარების განმარტება
მაკაბელთა I, II, III წიგნები
მაკაბელთა „წამება“
მაკარი მეგვიპტელის „ცხოვრება“
მაკედონიზმი
მალაქიას წინასწარმეტყველების წიგნი
მანანა
მარგალიტი
მარინეს „წამება“
მარკოზ მახარებელის ღვაწლის შესახებ
მარკოზის სახარება
მარკოზის სახარების განმარტება
მარტვილი
მარტვილი (მოწამე)
მარტვილობა
მარტირიკა
მასორული ბიბლიური ტექსტები
მატერიკი
მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრება“
მაქსიმე კათალიკოსის 1777 წლის კანონიკური
ეპისტოლე
მდუმარენი

მეორე სჯული, მოსეს მეხუთე წიგნი
მეორე სჯულის წიგნის განმარტებები
მესვეტეები
მეტაფრასტიკა
მეტაფრასული ჰაგიოგრაფია
მეფეთა I და II წიგნები
მეფეთა III და IV წიგნები
მიზიდვა
მისტიკა
მიქეას წინასწარმეტყველების წიგნი
მონაზვნობა
მონაზონი
მონანულთა დაგება
მონასტერი
მონოთელიტობა
მონოფიზიტობა
მოსეს სამართალი
მოსეს ხუთწიგნეული
მოციქულთა კანონები ანუ „კანონნი წმიდათა მო-
ციქულთანი“
მოციქული
მოწამე
მრავალთავი
მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე
მსაჯულთა წიგნი
მსაჯულთა წიგნის განმარტება
მსოფლიო III ეფესოს კრების აქტები
მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონმდებლობა
მსოფლიო საეკლესიო კრებები
მცირე სჯულისკანონი
მცნებად სასჯულოდ
მცხეთის ბიბლია
მძოვარნი

მწვალებლობა
მკვეცთათვის სახისა სიტყუად („სახისმეტყუელი“,
„ფიზიოლოგი“)

ნ

ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა ავტორები
ნათარგმნი კანონიკური მწერლობა
ნათარგმნი ჰაგიოგრაფია
ნათლისღებისათვის წმიდათა მოციქულთასა...
ნატყუარი ლიტერატურა
ნაუმის წინასწარმეტყველების წიგნი
ნეარონი
ნეოკესარიის ადგილობრივი საეკლესიო კრება
ნეოფიტე ურბნელის „წამება“
ნესტორიანელობა
ნეშტთა პირველი და მეორე წიგნები
ნიკეის მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება
ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება
ნიკოლოზ დვალის წამება
ნიკოლოზ მირონლუკიელის „ცხოვრება“
ნომოკანონი

ო

ოთხთავი
ონისიფორე გარეჯელის „ცხოვრება“
ორიგინალური ჰაგიოგრაფია
ოსიას წინასწარმეტყველების წიგნი
ოქროდს წყაროდ
ოშკის ბიბლია

პ

პავლე კორინთელის, სალოსის „ცხოვრება“
პავლე მოციქულის ეპისტოლეები
პავლე მოციქულის დვაწლის შესახებ

პავლე, ბილოს, თეონ, ირონ და მოყვასთა მათთა
„წამება“

პავლენი

პალადი ჰელენეპოლელის „ლავსაიკონი“

პანეგირიკონი

პანსოფი ალექსანდრიელის „წამება“

პარეხი

პასუხი ექუსთა დღეთათჳს

პატერიკი

პეტრე ალექსანდრიელი (+311 წ.) საეკლესიო
კანონები

პეტრე მოციქულის ორი კათოლიკე ეპისტოლე

პეტრე მოციქულის შესახებ შექმნილი ნათარგმნი
ლიტერატურა

„პნევმატური“ სახარება

პოლემიკა

პორფირი დაზელის „ცხოვრება“

პორფირის „ცხოვრება“

პროხორე ქართველის ცხოვრება

რ

რაუდენ პირველმოწამის „წამება“

რიტორიკა (ბერძ.)

რიტორიკული ჰაგიოგრაფია

რიცხვთა

რიცხვთა წიგნის განმარტებანი

რომაელთა მიმართ ეპისტოლე

რომანოზ ახლის „წამება“

რუთის წიგნი

რუთის წიგნის განმარტებანი

რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“

რუსული პროლოგ-სვინაქსარი

რჯულისა და მცნების დადება კათალიკოზის მიერ
გერგეტელ საყდრის შვილთათჳს

ს

საბა პალესტინელის „ცხოვრება“
საბინეს „წამება“
საზომთა და საწყაულთა განმარტებანი
საკითხავი საიდუმლოთაჲ დაფარული, თარგმანი
გარდაცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა
საკითხავი ჯუარისათჳს და პოვნაჲ წმიდათა სამ-
სკუალთაჲ
სალოსები
სამართალი კათალიკოსთა
სამართალი სომხური
სამასეული
სამება
სამება - ქრისტიანული ღვთისმეტყველების მთა-
ვარი დოგმატი
სამი თავის მწვალებლური მოძღვრება
სამოციქულო
სარდიკიის ადგილობრივი საეკლესიო კრება
საუფლო დღეების ჰომილეტიკა
საუფლო ღოცვის განმარტება
საქართველოში XVIII საუკუნეში მოწვეულ სა-
ეკლესიო კრებათა კანონმდებლობა
საქმე მოციქულთა
საქმენი მოციქულთანის განმარტება
საღმრთო წერილი
სახარება
სახსნილნი სულმცირედნი დიდთა რჩულისკანონ-
თაგან გამოცემულნი
სებასტიელ ორმოც მოწამეთა „წამება“
სევერიანობა
სეპტუაგინტა ანუ სეპტანტა
სვიმეონ (უმცროსი) მესვეტის „ცხოვრება“
სვინაქსარული ჰაგიოგრაფია
სიმბოლო სარწმუნოებისა

სინოპტიკური სახარებები
სიტყვისგება
სიტყუაი
სიყრმე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი
სოლომონის იგავთა წიგნი
სოლომონის სიბრძნის წიგნი
სომონია
სოფონიას წინასწარმეტყველების წიგნი
სტეფანე და ნიკონ მონაზონთა „ცხოვრება“
სტეფანე პირველმოწამის „წამება“
სულთმარგებელი თხრობანი
სუფევა
სუქიოსისა და მისი მოწაფეების „წამება“
სწავლა
სწავლანი მამათა სკიტელთანი გამოკრებილნი,
ანბანური პატერიკი
სწავლანი წმიდათა მამათანი

ტ

ტარასი კონსტანტინოპოლელის (+809 წ.) საეკლესიო კანონები
ტიმოთე ალექსანდრიელის (+385 წ.) საეკლესიო კანონები
ტიმოთე მოციქულის სამისიონერო ღვაწლის შესახებ
ტიმოთე საკვირველმოქმედის „ცხოვრება“
ტიმოთეს მიმართ I და II ეპისტოლე
ტიტეს მიმართ ეპისტოლე
ტობის წიგნი

უ

უდაბნო
უწერელი წესი

ფ

ფილოთეოსის „წამება“
ფილეკტიმონის „წამება“
ფილიმონის მიმართ ეპისტოლე
ფილიპე მოციქულის „წამება“
ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე
ფსალმუნთა განმარტებანი
ფსალმუნნი (დავითნი)

ქ

ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება
ქალკედონიტობა
ქება ქებათად
ქებად და დიდებად, შესხმად და გალობად ღმრთის-
მშობელისად
ქებად ქებათადსა (განმარტებანი)
ქვათახევის მონაზონთა „წამება“
ქორწინების თავთათჳს
ქრისტესია მონაზონის „ცხოვრება“
ქრისტიანს „წამება“
ქუმრანის (ყუმრანის) ხელნაწერები

ღ

ღანგრის საეკლესიო კრება
ღირსი

შ

შალვა ახალციხელის „წამება“
შესხმა
შესხმა დავით მეფეს - მონაზონი არსენი
შეტირილი
შეჩვენება
შიო გარეჯელის წამება
შიშველ-მართალნი

ც

ცხოვრება და მოქალაქობაი

ძ

ძეგლი

ძველი აღთქმა

ძველი აღთქმის ქართული კრებულები

წ

წამება-მარტვილობა

წამებაი

წიგნი მოწამეთანი

წიგნი „ისუ ნავესი“ – განმარტება

წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან

წინამძღვარი

წინასწარმეტყველთა ბიბლიური წიგნების
განმარტებანი

წმიდა მამათა კანონმდებლობა

წმიდისა ღმრთისმშობელისაგან კაცთა ცოდვილთა
სატანჯველისა ხილვაჲ

ხ

ხატმებრძოლეობა

ხაჩეცარი

ხუცეს-მონაზონი

ჰ

ჰაგიოგრაფია

ჰომილიები ბასილი დიდისა (+379 წ.)

ჰომილიები ბასილი სელევიკიელისა (+459 წ.)

ჰომილეტიკა

ჰომილეტიკური ადრინდელი კრებულები

ჰომილეტიკური კრებულები X-XI სს-ისა

ჰომილია

- ჰომილია ბასილი ანკვირელისა (IV ს.)
 ჰომილია ჰეტრე იერუსალიმელისა
 ჰომილია-ეპისტოლე ეგნატე ღმერთშემოსილისა
 (+107 წ.)
 ჰომილიები (ქადაგებები) ათანასე
 ალექსანდრიელისა (+373 წ.)
 ჰომილიები (ქადაგებები) ამფილოქე იკონიელისა
 (+395 წ.)
 ჰომილიები (ქადაგებები) ანასტასი სინელი (+687
 წ.)
 ჰომილიები (ქადაგებები) ანდრია კრიტელი (+720
 წ.) VII-VIII სს
 ჰომილიები ასტერიოს ამასიელი (+404 წ.). IV-V სს
 ჰომილიები გერმანე კონსტანტინეპოლელისა (+733
 წ.)
 ჰომილიები გიორგი ნიკომიდიელისა
 ჰომილიები გრიგოლ ანტიოქელისა
 ჰომილიები გრიგოლ ნეოკესარიელისა
 (საკვირველმოქმედისა) (+270 წ.)
 ჰომილიები გრიგოლ ნოსელისა (+394 წ.)
 ჰომილიები გრიგოლ ღვთისმეტყველისა (+390 წ.)
 ჰომილიები ევსები ალექსანდრიელისა (+451 წ.)
 ჰომილიები ევსტათი ანტიოქიელისა (+337 წ.)
 ჰომილიები ევსუქი იერუსალიმელისა
 ჰომილიები ეპიფანე კვიპრელი (+403 წ.)
 ჰომილიები ეფრემ ასურისა (+373 წ.)
 ჰომილიები თეოდორე სტუდიელისა (+826 წ.)
 ჰომილიები იოანე დამასკელისა (+749 წ.)
 ჰომილიები იოანე მმარხველისა (+595 წ.)
 ჰომილიები იოანე ოქროპირისა (+407 წ.)
 ჰომილიები კირილე ალექსანდრიელისა (+444 წ.)
 ჰომილიები კირილე იერუსალიმელისა (+386 წ.)
 ჰომილიები მაქსიმე აღმსარებელისა (+662 წ.)

- ჰომილიები მეთოდი პატრელისა (+311 წ.)
- ჰომილიები მელეტი ანტიოქიელისა (+381 წ.)
- ჰომილიები ნილოს სინელისა
- ჰომილიები პეტრე ალექსანდრიელისა (+331 წ.)
- ჰომილიები პროკლე კონსტანტინეპოლელისა
- ჰომილიები საუფლო დღესასწაულებზე
- ჰომილიები სევერიანე (სებერიანე) გაბალოვნელისა (+408 წ.)
- ჰომილიები სოფრონ იერუსალიმელისა (+644 წ.)

რედაქტორობით დაბეჭდილი ნაშრომები

- 254. მცირე სჯულისკანონი, გამოსცა ე. გიუნაშვილმა, 1972.
- 255. დიდი სჯულისკანონი, გამოსცეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975.
- 256. შუშანიკის წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გამოსცეს ზ. სარჯველაძემ, ე. გიუნაშვილმა და კ. დანელიამ, თბილისი, 1986.
- 257. იგივე წიგნი, გამოვიდა განმეორებით 2002.
- 258. ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის სამწერლობო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996.
- 259. ე. კოჭლამაზიშვილი, „მამაო ჩვენოს“-ს ასამაღლებელისათვის, თბილისი, 2000.
- 260. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი (ერთ-ერთი რედაქტორი), თბილისი, 2007.
- 261. ნ. პაპუაშვილი, კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მასალების მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი), თბილისი, 2008.

VI. ენრიკო ბაბიაშვილის ბიოგრაფია



დაბადების თარიღი: 1931 წ. 30 იანვარი

განათლება: უმაღლესი; 1948-1953 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, ფილოლოგი.

სამეცნიერო ხარისხი და წოდება: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1980 წლიდან); მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების გამგე.

სამუშაო გამოცდილება:

1960 წლიდან დღემდე კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტი) თანამშრომელი:

2015 წლიდან დღემდე - კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის

სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელი;

2010-2015 წწ. - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტი;

2006-2009 წწ. - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტი;

2002-2005 წწ. - ხელნაწერთა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

1996-2001 წწ. - კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერული ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი;

1986-1996 წწ. - ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

1970-1986 წწ. - ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

1960-1970 წწ. - ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ძველი ქართული ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა; ქართულ-ბიზანტიური საეკლესიო მწერლობათა ურთიერთობა; კოდიკოლოგია-ტექსტოლოგია.

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა:

1. ექვთიმე მთაწმიდელის „ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია“, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის V სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1963, გვ. 8-9.

2. რუის-ურბნისის კრების „ძველისწერის“ ავტორის ვინაობისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1972, გვ. 7-10.

3. ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე.წ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1981.

4. გიორგი მთაწმიდელის ერთი თარგმანის გამო, კ. კეკელიძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი თსუ სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1989.

5. ევსტათი მცხეთელის „მარტკლობის“ რამდენიმე ადგილის გაგებისათვის, თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტის – „რიტორიკის“ სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1993, გვ. 6.

6. ერთი მაზდენური ტრადიციის კვალი რამდენიმე ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, სვეტიცხოვლობისადმი 1995 წლის 11-13 ოქტომბერს მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მასალები, თბილისი, 1998, გვ. 127-131.

7. ახალი ცნობები ბიზანტიური და ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ისტორიისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1997.

8. ახალი ცნობები ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისა და ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის სხდომაზე გაკეთებული მოხსენება, 1997 წლის 10 ნოემბერი.

9. კორნელი კეკელიძე და ქართული კანონიკური მწერლობის საკითხები, კ. კეკელიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები – კორნელი კეკელიძე, თბილისი, 1999, გვ. 40-46.

10. ილია აბულაძე – ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, ილ. აბულაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი 2001 წ. 27 ნოემბრის სესიის მასალები, ხ.ი. მრავალთავი, თბილისი, 2003, გვ. 28-33.

11. 14-ტიტლოვანი ნომოკანონის ქართული თარგმანი - „დიდი სჯულისკანონი“, გელათი - 900, თსუ-ს სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2007, გვ. 5-6.

12. ძველი ქართული მწერლობის საცნობარო ლიტერატურის შესახებ, თსუ-ს უკრაინისტიკის ინსტიტუტისა და საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2008, გვ. 6-8.

13. პორფირი ღაზელის „ცხოვრების“ ქართული თარგმანი, ოთარ ბაქანიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2009, გვ. 22-23.

14. კანონიკური მწერლობის საკითხები ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სამეცნიერო სესიაზე 2003 წ. წაკითხული მოხსენება დაბეჭდილია: ე. გაბიაშვილი, შრომები, III, 2011, გვ. 265-269.

15. დიდი სჯულისკანონის თარგმნის საკითხისათვის, „საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია“, კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 120 წლისადმი მიძღვნილი კონფერენცია, 4 დეკემბერი, 2013.

16. კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ქართველი სტუდენტობა, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კიევის სასულიერო აკადემიის

დაარსების 300 წლისთავისადმი, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2015.

17. ჰაგიოგრაფიულ-ჰომილექტიკურ საკითხავთა XVI ს. უნიკალური კრებული (ქუთ. 1), თსუ, უკრაინისტიკის ინსტიტუტი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2016.

პედაგოგიური მოღვაწეობა:

1. თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტი „რიტორიკა“ (1991-1993 წწ.): ლექციები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში;

2. თბილისის დ. გურამიშვილის სახ. პედაგოგიური კოლეჯი (1994-1996 წწ.): ლექციები: ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ორიგინალური ძეგლები;

3. ლექციები საბა-სულხან ორბელიანის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში: ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობა;

4. თბილისის სასულიერო აკადემიაში პერიოდული ლექციები პედაგოგთა და სტუდენტებისათვის: საეკლესიო სამართლის ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლები.

ფილოლოგიის მეცნიერებათა 5 კანდიდატის მომზადება (აქედან 4 დაიცვა ხარისხი).

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

1. ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, ნარკვევი და თხზულებათა ბიბლიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი, 2002 წ. დაიბეჭდა ამავე სახელწოდების წიგნი, თბილისი, 2004 (425 გვ.),

(გრანტის ხელმძღვანელი)

2. ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა, ნარკვევი და თხზულებათა ბიბლიოგრაფია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი, 2004 წ. დაიბეჭდა ამავე სახელწოდების წიგნი, თბილისი, 2006 (390 გვ.), (გრანტის ხელმძღვანელი)

3. ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, ნარკვევი და თხზულებათა ბიბლიოგრაფია, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის – რუსთაველის ფონდის გრანტი, 2007 წ. დაიბეჭდა ამავე სახელწოდების წიგნი, თბილისი, 2009 (580 გვ.) (გრანტის ხელმძღვანელი)

4. ქართული ხელნაწერი, ონლაინ ენციკლოპედია. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2011-2013 წწ. შეტანილია მოკლე და საშუალო სიდიდის 600-მდე სტატია (ძირითადი მონაწილე)

5. ძველი ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების კორპუსი, 2014-2016 წწ. (ძირითადი მონაწილე)

6. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა და საბუთების ფონდების გზამკვლევი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი. (ხელნაწერი; გრანტის ხელმძღვანელი)

პროფესიული და სამეცნიერო ორგანიზაციის და რედაქციების წევრობა:

ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კრებულ „მრავალთავის“ რედაქციის წევრი; თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობის რედაქტორი და სამეცნიერო კონსულტანტი.

ექსპედიციებში მონაწილეობა:

ხელმძღვანელი ხუთი არქეოგრაფიული სამეცნიერო ექსპედიციისა ქართული ხელნაწერებისა და დოკუმენტების მოძიების მიზნით (1. საჩხერის რ-ნი; 2. სამხრეთ საქართველოს რაიონები; 3 ექსპედიცია რუსეთში: თბილისი-მოსკოვი-ვლადიმირი-გორკი-ლისკოვო-სარატოვი-ასტრახანი-თბილისი, ქართველ ემიგრანტთა ნაკვალევზე; ორი ექსპედიცია დაღესტანში არაბულ ხელნაწერთა მოსაპოვებლად და შესაძენად).

ჯილდოები:

1. საქართველოს სახელმწიფო-ეროვნული პრემია (ფილოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომისათვის „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“ - ექვსტომეული, 2004-2012 წწ.)

2. ქ. მოსკოვში გამომავალი «Православная энциклопедия»-ს მთავარი რედაქტორის, სრულიად რუსეთის პატრიარქის - კირილე II-ის «Патриаршая грамота», ენციკლოპედიაში დაბეჭდილი სტატიებისათვის (60-ზე მეტი), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული სასულიერო მწერლობის შესახებ.

3. საქართველოს ეკლესიის პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მადლობის სიგელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით.


4. კორნელი კეკელიძის მედლით ხელნაწერის დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებულებით (2018 წლის 29 ივნისის 61).



საქართველოს ეკონომიკური განვითარების და სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება

ფართობით ყველაზე დიდ მფლობელს

ფართობით ყველაზე დიდ მფლობელს ნაწილობრივად
„ძველი ქართული მშენებლობის ნაწარმიანი ძეგლები“
ყველა საწარმო-ეკონომიკური მიზნის დასრულების შემდეგ
და გარდაცემის შემთხვევაში


ირაკლი ლარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი



2015 წელი



ПАТРИАРША ГРАМОТА

ДАНА ГАБИДЗАШВИЛИ
ЭНРИКО ПАРМЕНОВИЧУ,

главному научному сотруднику
и консультанту Национального
центра рукописей в Тбилиси
во внимание
к трудам в Церковно-научном центре
«Православная энциклопедия»
и в связи с 20-летием Центра



Патриарх Московский и всея Руси

месяца марта в 4 день
2010 году в городе МОСКВЕ № 49

შინაარსი

I. სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება.....	7
II. წიგნად გამოცემული ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნაშრომები.....	21
III. მონოგრაფიული ნარკვევები და ტექსტების კუპლიკაციები.....	39
IV. სამეცნიერო წერილები.....	69
V. საენციკლოპედიო სტატიები და რეცენზიები, რედაქტორული დაკუჭილი ნაშრომები.....	80
VI. ენრიკო გაბიკაშვილის ბიოგრაფია.....	102